პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 43 (53). პარასკევი, 29 დეკემბერი, 1944 წ. ფასი 1 მან.

დღეს ნომერშია:

— მუსიკოსთა შემოქმედების ზრდის დემონსტრაცია (მოწვინავე).
— პროფ. **კოტე მელვინეთ-უხუცესი** — შთაგებდილებანი.
— **ლადო დონაძე** — შალვა მშველიძის მეორე სიმფონია.
— **დ. ჟიტომირსკი** — სიმფონიური მუსიკა დეკადაზე.
— **ანა ღვინიაშვილი** — საბავშვო წიგნის ილუსტრატორი.
— **ალექსანდრე ჟუთათელი** — დანაბარები (ლექსი).
— **დიმიტრი გენაშვილი** — ...(წერილი მეორე).
— ლიტერატურული საღამო ...
— **გ. სამხარაძე** — „ჭიდილი". (ლ. მესხიშვილის სახელოვნების ჟუთაისის სახელმწიფო თეატრის ახალი დადგმა).
— **აზიზ შარიფი** — მოლა-ნასრედინი.
— პოეტი-მხედარი (ბიბლიოგრაფია).
— ქრონიკა და ინფორმაცია.

მუსიკოსთა შემოქმედებითი ზრდის დემონსტრაცია

ჯერ კიდევ დეკადის დაწყებამდე ფართო საბჭოთა საზოგადოებისათვის საკმაოდ ცნობილი იყო ის დიდი აღმავლობა, რომელიც საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის საბჭოთა მუსიკამ განიცადა დიდი სამამულო ომის წლებში. ჩვენ ვიცოდით, რომ ამიერ-კავკასიის მოძმე ხალხების მუსიკოსებმა უაღრესად დაძაბული მუშაობა გააჩაღეს იმისთვის, რომ წარმტაც ჰანგებში გამოეხატათ მებრძოლი საბჭოთა ხალხის იდეურ-მორალური ძლიერება, მისი პატრიოტული სულისკვეთება, განუსაზღვრელი სიყვარული და თავდადება მამულისათვის, დიდი **სტალინისათვის**. მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა მოელოდა ამ დაძაბული შემოქმედების მუშაობის შესაფერ ნაყოფს. ეს მოლოდინი ბრწყინვალედ გაამართლა ამიერ-კავკასიის ხალხთა მუსიკის დეკადამ, რომელმაც ცხადჰყო, რომ საბჭოთა კომპოზიტორებს ომის დღეებში დიდი ინტენსიობით და შთაგონებით უმუშავიათ, რომ მათ შეუქმნიათ მნიშვნელოვანი ნაწარმოებები მუსიკის თითქმის ყველა ჟანრში. დეკადამ ნათელი გახადა არა მარტო კომპოზიტორთა, არამედ დირიჟორთა და შემსრულებელთა კადრების ზრდა, მათი დაოსტატება და მომწიფება.

განსაკუთრებით მისასალმებელი და აღსანიშნავი ის ფაქტი, რომ ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა კომპოზიტორებმა საბჭოთა მუსიკა აიყვანეს ახალ, ბევრად უფრო მაღალ საფეხურზე, მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს რა სამამულო ომის წლებში მუსიკის ურთულეს ჟანრს, სიმფონიზმს; მაგრამ მათ მხოლოდ ამ ჟანრით როდი შემოფარგლეს თავიანთი შემოქმედება. იშვიათი მუსიკალური ნიჭი და ოსტატობა გამოავლინეს სხვა ჟანრებშიაც, რის ბრწყინვალე საბუთს წარმოადგენს დეკადაზე მოსმენილი სიმფონიური პოემები, სუიტები, უვერტიურები და მრავალრიცხოვანი სოლო-ინსტრუმენტული, ვოკალური და კამერული ნაწარმოებნი.

იმ თავითვე დეკადა მაღალ მხატვრულ დონეზე აიყვანა სომეხ მუსიკოსთა და შემსრულებელთა კოლექტივმა, რომელთა ნაწარმოებების დემონსტრაციით იგი დაიწყო. დეკადაზე წარმოდგენილი იყო სომხების სხვადასხვა თაობათა კომპოზიტორების ნაწარმოებნი, დაწყებული სომხეთის მუსიკალური კულტურის ერთერთი ფუძემდებლის არმენ ტიგრანიანის ქმნილებებით და დამთავრებული ახალგაზრდა კომპოზიტორების პლეადით ა. არუთინიანით, ე. მირზოიანით, ა. ბაბაჯანიანით. იშვიათი წარმატება ხვდა სომხეთის ერთ-ერთ ნიჭიერ კომპოზიტორს არო სტეპანიანს, რომელმაც გვიჩვენა ძლიერი მხატვრული გემოვნება, ნამდვილი ოსტატობა, ძველი სომხური ხალხური სიმღერების ოსტატურად გამოყენების უნარი, როგორც თავის სიმფონიაში, ისე კამერულ ნაწარმოებებში, რომანსებსა და ვიოლენჩელოს სონატებში. ღრმა ინტერესი აღძრა აგრეთვე კომპოზიტორ გრიგოლ ეგიაზარიანის ნაწარმოებებმა—სიმფონიურმა პოემამ „სომხეთმა" და სავიოლინო კონცერტმა, რომლებიც ბევრს ახალსა და მოულოდნელ ჰანგებს შეიცავენ.

სომხეთის კონცერტების გვირგვინს წარმოადგენდა არამ ხაჩატურიანის შესანიშნავი ნაწარმოები,—მეორე სიმფონია, რომელიც თავისი ემოციური გაქანებით, სახეების სკულპტურული გაძოკვეთით, იშვიათი მხატვრული გულწრფელობით ასახავს გმირი საბჭოთა ხალხის განცდებს ვერაგ მტერთან დაძაბული ბრძოლის დღეებში. როგორც ა. ხაჩატურიანის მეორე სიმფონია, ისე სხვა სომეხი კომპოზიტორების სიმფონიური ნაწარმოებები შესანიშნავად იქნა შესრულებული ერევნის ლენინის ორდენოსანი ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის და სომხეთის ორდენოსანი სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრების მიერ. სომხური კონცერტების ციკლმა ცხადჰყო აგრეთვე შესრულებელთა კულტურის მნიშვნელოვანი მიღწევები.

სომხური მუსიკის კონცერტებმა გვიჩვენეს სომხეთის მუსიკალური კულტურის განუხრელი შემოქმედებითი ზრდა, შემსრულებელთა კადრების მაღალი კვალიფიკაცია და სომხური მუსიკის შემდგომი შეუჩერებელი განვითარების დიდი შესაძლებლობა.

ბრწყინვალე მიღწევებით გამოვიდა დეკადაზე ქართული საბჭოთა მუსიკა, რომლის პირველი კონცერტი 21 დეკემბერს გაიმართა. ქართული საბჭოთა მუსიკის კონცერტების ციკლში შევიდა როგორც ძველი, ისე ახალი თაობის წარმომადგენელთა ყველა სახის ნაწარმოები. ღრმა, შეუნელებელი ინტერესით იქნა მოსმენილი ი. ტუსკიას ვოკალურ სიმფონიური მომართვა დიდი სტალინისადმი, შ. მშველიძის და გ. კილაძის მონუმენტური სიმფონიები, დ. არაყიშვილის ახალი სიმფონიის ნაწილი, ი. ტუსკიას სავიოლინო კონცერტი, ა. მაჭავარიანის საფორტეპიანო კონცერტი, თორაძის სიმფონიური ცეკვა, შ. თაქთაქიშვილის საზეიმო უვერტიურა. ყველა ამ ნაწარმოებს ახასიათებს პროფესიული კომპოზიტორული კულტურის მაღალი დონე, ამოცანების სიდიადე და კეთილშობილება. შ. მშველიძის სიმფონია მსმენელს ხიბლავს მასში მკვეთრად მოცემული და გაშლილი ხალხური თემატიკით, ღრმა და მნიშვნელოვანი აზრებით, ამ აზრების ლოღიკური განვითარებით, ორკესტრის ფერადოვანი ბგერადობით. შ. მშველიძის ახალი სიმფონია წარმოადგენს მისი ავტორის წინსვლას „განდეგილსა" და „ზვიადაურს" შემდეგ. აქ უფრო მეტად იგრძნობა შ. მშველიძის საორკესტრო ოსტატობა და სიმფონიურ შთანაფიქრთა ფართოდ გაშლის, განვითარების უნარი.

მაღალ დონეზე აღმოჩნდა სიმფონიურ კონცერტთა შესრულება, თავიანთი ოსტატობით საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს პიანისტმა ქალმა გ. მაჭუტაძემ და ვიოლინოზე დამკვრელმა ლ. შიუკაშვილმა. თუ ქართული სიმფონიური მუსიკის ახალმა, რთულმა ნაწარმოებებმა დიდი ეფექტი მოახდინეს, ეს უეჭველია იმითაც აიხსნება, რომ საქართველოს პროფესიულ, მტკიცე სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორობდნენ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი შესანიშნავი დირიჟორი ა. გაუკი და შ. აზმაიფარაშვილი, რომელსაც დირიჟორის მტკიცე და დაჯერებული ხელი აქვს.

დეკადაზე იშვიათი წარმატება ხვდა აგრეთვე დ. გუდიაშვილის „პოემას ვიოლინოსათვის", რომელიც შეასრულა ნორჩმა დამკვრელმა მარინე იაშვილმა. ინსტრუმენტალურ მუსიკიდან შესრულებული იქნა ვანო გოკიელის „საფორტეპიანო ტრანსკრიპცია" ქორეოგრაფიული პოემიდან „ვეფხვის ტყაოსანი" (შეასრულა ახალგაზრდა პიანისტმა თენგიზ ამირაჯიბმა). შ. თაქთაქიშვილის ორი საფორტეპიანო პიესა (შემსრულებელი გულნარა ქავთარაძე), ალ. მაჭავარიანის საფორტეპიანო ნაწარმოები „ხორუმი", (შემსრულებელი ახალგაზრდა პიანისტი ქალი ნელი ჩიქოვანი) და შ. თაქთაქიშვილის ურმული ჩელოსათვის.

ქართველ კომპოზიტორთა ვოკალურ შემოქმედებიდან ინტერესი გამოიწვიეს ანდრიაშვილის, დ. არაყიშვილის, ალ. მაჭავარიანის, ა. ბალანჩივაძის, ი. ტუსკიას არიებმა და რომანსებმა, რომლებიც დიდი ხელოვნებითა და გრძნობით შეასრულეს სახალხო არტისტებმა სანდრო ინაშვილმა და პ. ამირანაშვილმა, დამსახურებულმა არტისტმა მერი ნაკაშიძემ, გ. გრიგორაშვილმა, გ. გეგუჩაძემ, ბ. კრავეიშვილმა, გ. გოგიჩაძემ.

მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და მომხიბვლელობით გამოჩნდა დეკადაზე ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა. საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა გ. კოკელაძის ხელმძღვანელობით, ქართლ-კახური მომღერალთა გუნდმა მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით და მეჩონგურე ქალთა ანსამბლმა ალექსანდრა ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით შეასრულეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები და ცეკვები და ქართველ კომპოზიტორთა საგუნდო თხზულებანი, განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დასტოვა გ. კილაძის სიმღერამ სტალინზე და ხალხურმა სიმღერამ ბერიაზე.

წარუხოცელი შთაბეჭდილება მოახდინეს მსმენელებზე აზერბაიჯანის მუსიკის კონცერტებმა. აზერბაიჯანული მუსიკის კონცერტების ციკლი დაიწყო სოლოთან გაჯიბეკოვის სიმფონიის შესრულებით. ეს სიმფონია გვიხატავს საბჭოთა ხალხის ბრძოლას საშობლოსათვის, უმღერის საბჭოთა ჰუმანიზმის ძლევამოსილებას, მის გამარჯვებას ფაშისტურ ბნელეთზე. სიმფონია გამსჭვალულია ღრმა პატრიოტულ პათოსით, მძაფრი დრამატიზმით, ავტორი მოხერხებულად იყენებს საორკესტრო ეფექტებს და მკვეთრ მუსიკალურ სახეებსა ჰქმნის. მომწიფებული, რთული ნაწარმოების შთაბეჭდილება დასტოვეს მსმენელებზე ა. აბასოვის საცეკვაო სუიტამ, დ. გაჯიევის სიმფონიის მეორე ნაწილმა, ამიროვის სიმფონიურმა პოემამ, ყარაყარაევის სიმფონიამ, მამედ ისრაჰილ-ზადეს სუიტამ, ელზა მაილიანის უვერტიურამ. აზერბაიჯანელ კომპოზიტორების ეს ნაწარმოებები, სამამულო ომის წლებში დაწერილი, გამსჭვალული არიან მხნე სულისკვეთებით, ნაციონალური კოლორიტით, ღრმა პატრიოტიზმით.

დეკადაზე წარმოდგენილმა ვოკალური შემოქმედებისა და ინსტრუმენტალური მუსიკის ნიმუშებმა, აგრეთვე შესრულების კულტურის მაღალმა დონემ ცხადჰყო, რომ საბჭოთა აზერბაიჯანს შეაქვს თავისი ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი წვლილი იდეურად და მხატვრულად მდიდარ საბჭოთა მუსიკის საგანძურში.

შთაბეჭდილებანი

პროფ. კ. მელვინეთ-უხუცესი

ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური დეკადა იყო იმის დემონსტრაცია, თუ რა მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა მუსიკოსების მხატვრული აზროვნება საშობლოს დიდების, მისი თავისუფლებისა და ღირსების დაცვის და საბჭოთა ხალხის გამარჯვების იდეასთან; ეს იყო დემონსტრაცია იმისა, თუ რამდენად გამოჩნდა ეს იდეა ამიერ-კავკასიის კომპოზიტორთა მხატვრულ ნაწარმოებებში.

დეკადა დაიწყო საბჭოთა სომხეთის მუსიკალური კულტურის ჩვენებით. პირველყოვლისა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის შესანიშნავი ორგანიზაცია, რომელიც ახასიათებდა დეკადის სომხურ ნაწილს. ეს ცხადჰყო დეკადაზე წარმოდგენილი ყველა ხალხური კოლექტივის როგორც შესანიშნავმა გარეგნულმა გაფორმებამ, ისე შინაგანმა კავშირმა, წესრიგმა და დისციპლინამ. ცალკე კოლექტივებს თუ შემსრულებლებს ყოველი დეტალი წინასწარ და ყოველმხრივ ჰქონდათ მოფიქრებული და დაზუსტებული, რასაც თავისი შესაფერი ნაყოფი მოჰყვა.

ის მშვენიერი ნიმუშები, რომლებიც სომხურმა ანსამბლებმა გამოაფინეს, შესრულების მაღალ მწვერვალზე აიყვანეს ნიჭიერმა სოლისტებმა ოფელია ამბარცუმიანმა და შოღაკეთ მიკირტიჩიანმა. მათ დაგვიმტკიცეს თუ რა შეუძლია ნიჭიერ ხელოვანს კარგი მზრუნველის ხელში. დეკადაზე გამოირკვა, რომ სომხურ კამერულ მუსიკას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. დღეს იგი მკვიდრდა მაგარ ნიადაგზე დგას. მის ასეთ მაღალ დონეს განსაკუთრებით ცხადჰყოფს ა. სპენდიაროვის და კომიტასის სახელობის კვარტეტები, რომელთაგან მეორეს დაძლეული აქვს ტექნიკური სიძნელენი და შესწევს უნარი შეასრულოს ურთულესი ნაწარმოებები. ამ კვარტეტების ხმამაღწყობილი შემოქმედება, ხმოვანების ელფერი, დამკვრელთა დისციპლინა — არის უშუალო ნაყოფი სისტემატიური და რაციონალურად დახარჯული შრომისა.

ასევე მაღალ დონეზე აღმოჩნდა ვოკალისტების შერჩევა და მათი შემოქმედება. ავაქ პეტროსიანი, ბედროსიანი, ლ. ავეტისიანი და მეტადრე სანანდარიანი ხმოვანი მასალის სიმდიდრით, მისი ჩუქურთმოვანი დამუშავებით სტოვებდნენ ღრმა შთაბეჭდილებას და ცხადჰყოფენ, რომ შემსრულებელთა კულტურა სომხეთში ფრიად მაღალ დონეზე დგას.

კამერულ განყოფილებაში წარმოდგენილ ავტორებიდან დიდი ინტერესი გამოიწვიეს, როგორც თავისი მხატვრული სიმწიფით უკვე ცნობილმა კომპოზიტორმა — არმენ ტიგრანიანმა, არო სტეპანიანმა, ანუშავან ტერ-გევონდიანმა, ისე სომხური ეროვნული საგუნდო სიმღერის ოსტატმა აზატ მანუკიანმა.

არო სტეპანიანი სომეხ მუსიკოსთაგან გამოირჩევა თავისი შემოქმედების ფართო დიაპაზონით (სიმფონია, კამერული მუსიკა, ვოკალური ნაწარმოებები) და ყურადღებას იქცევს თემატიკის სიახლით, საკუთარი ენით, ტექნოლოგიური სიმტკიცით. მსმენელს შეუძლია შეედავოს ა. სტეპანიანს, მიიღოს ან არ მიიღოს სმენით თუ გულით მისი ემოციურად მდიდარი მუსიკა, მაგრამ არ შეუძლია არ მიიღოს ა. სტეპანიანის აზრთა ლოგიკური განვითარება, მისი ორიგინალური და ოსტატური ენა და ფერადების განაწილების უნარი. ა. სტეპანიანი ჭეშმარიტად დიდი ხელოვანია.

კომპოზიტორი ვარდკეს ტალიანი და კარო ზაქარიანი, როგორც თბილისის კონსერვატორიაში აღზრდილნი, მანამდე იყვნენ ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილნი, მაგრამ ეხლა დეკადაზე ისინი მოგვევლინენ, როგორც უფრო მოწიფულნი, დავაჟკაცებული ხელოვანნი.

შთაბეჭდილების გაზიარებისა და მსჯელობისათვის უხვ მასალას იძლევა ახალგაზრდა არნო ბაბაჯანიანი. მისი კვარტეტი და მეტადრე ცეკვა, ორ როიალზე შესრულებული, წარმოგვიდგენს ავტორს უტყუარი ნიჭის ფრიად საინტერესო შემოქმედად, რომელიც უდავოდ ახლო მომავალში გახდება სომხური მუსიკის ერთერთი სიამაყე. მას ახასიათებს ცეცხლოვანი ტემპერამენტი, ღრმა პიანისტური ნიჭი, მახვილი მუსიკალური ენა. ჩემის აზრით, ბაბაჯანიანი ჯერ კიდევ ცდების პერიოდშია, ჯერ კიდევ იგი თავს ვერ აღწევს მთელ რიგ გავლენებს, მაგრამ მისი ნიჭი იმდენად ძლიერია, რომ იგი გაუძლებს ყოველგვარ გავლენას და უზიანოდ შეინარჩუნებს თავის ორიგინალობას. არნო ბაბაჯანიანი სასიხარულო მოვლენაა არა მარტო სომხეთის, არამედ მთელი საბჭოთა მუსიკისათვის.

დიდი ინტერესი გამოიწვიეს არსო სტეფანიანის სიმფონიამ, მომღერალ სანანდარიანის მიერ შესრულებულმა, კომპოზიტორ სატიანის არიამ „ორატორიიდან" და კომპოზიტორ ეგიაზარიანის სავიოლინო კონცერტმა, გამოჩენილი სომეხი დამკვრელის ავეკ გაბრიელიანის შესრულებით.

არო სტეპანიანის სიმფონიური შემოქმედება ამყღავნებს კომპოზიტორის საკუთარ გზას ფორმის ძიებასა და ჩამოყალიბებაში. ჩემის აზრით, მისი ფორმა ზოგჯერ ამორფიულია და შეიცავს მასალას, რომელიც ზოგჯერ ძალიან საინტერესოა, მაგრამ მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. მისი სიმფონიის მეორე ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ იგი გადატვირთულია, მსუბუქ და სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს. კომპოზიტორ სატიანის „ორატორიიდან" შესრულებული არია მომხიბლავია შინაარსის სიფაქიზით, მშვენივრად გამოყენებული ინსტრუმენტებით, სადაც მთავარი ადგილი მინიჭებული აქვს არფას. ამავე დროს ის დაწერილია ადამიანის ხმის გამოყენების ხერხების ზედმიწევნითი ცოდნით. არია ალტაცებით იქნა მოსმენილი და განმეორებული. რაც შეეხება კომპოზიტორ ეგიაზარიანის კონცერტის აგებულებას, იგი იმდენად მიმზიდველი, იმდენად ორიგინალური და საამური მოსასმენია, რომ იგი უეჭველად შეავსებს სომხურ საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებთა საგანძურში.

მთელი სიდიადით გამოვიდა დეკადაზე საბჭოთა აზერბაიჯანი. პირველყოვლისა, გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა ის, ვისაც არ ჰქონდა დაარა აქვს უშუალო ურთიერთობა აზერბაიჯანის მუსიკალურ ცხოვრებასთან, გააოცა აზერბაიჯანის მიერ დეკადაზე გამოტანილმა მუსიკალურმა ნიღწევებმა. პირველსავე საღამოზე, რომელიც აზერბაიჯანული სიმფონიური მუსიკის დემონსტრაციით დაიწყო, ეს გაოცება შესცვალა აღფრთოვანებამ.

ჩვენს წინაშე წარმოდგა მშვენივრად შერჩეული, დიდებულად ორგანიზებული სიმფონიური ორკესტრი, მდიდარი ინსტრუმენტარიით შეიარაღებული და დისციპლინირებული. დირიჟორის პულტზე იდგა ახალგაზრდა კომპოზიტორი სოლთან გაჯიბეკოვი, რომელიც ხელმძღვანელობდა თავისი საკუთარი სიმფონიის შესრულებას. ს. გაჯიბეკოვის სამნაწილიანი სიმფონია (ფა-მინორის ტონალობით) იდეურად და ტექნიკურად შესანიშნავად გამართული, წარმოგვიდგა როგორც მწყობრი ერთეული, რომელიც თავისი სიახლით და კულტურულ მისწრაფებებით მოასწავებს ახალი გზების პოვნასა და განმტკიცებას აზერბაიჯანის მუსიკალურ კულტურაში. კომპოზიტორ აბიროვის სიმფონიური პოემა, სადაც იგი ცდილობს მოგვცეს ბრძოლის ველზე დაცემულ ამხანაგის სახე, მაძედ ისრაფილ-ზადეს სუიტა, რომლის პირველ ელეგიურ ნაწილს სცვლის მეორე, გაშლილ ინტონაციებზე აშენებული ნაწილი, მკაფიოდ რომანტიულ ელფერს ატარებენ.

ფრიად საინტერესო მომეხტების შემცველია კომპ. ყარა-ყარაევის ორნაწილიანი სიმფონია სი-მინორის ტონალობით. ამ სიმფონიის პირველ ნაწილში სჩანს კომპოზიტორის კარგი საკომპოზიციო ტექნიკა, ხოლო მეორე თემა მოცემულია ფართოდ გაშლილ მელოდიაში. სიმფონიის პირველი ნაწილი ოსტატურად გაორკესტრებულია და ფორმის მხრივ უნაკლოდ უხდა ჩაითვალოს. სიმფონიის მეორე ნაწილი ნაკლებ ინტერესს შეიცავს, რადგან პულსაცია არ არის საკმარისი სხვათა მატარებელი და ზოგიერთ ადგილს მოსაწყენია. საკმაო ინტერესი აღძრეს კომპოზიტორ ქალის ე. მაილიანის გმირულმა უვერტიურამ და ნიაზის „ოცნებამ სამშობლოზე". „ოცნება სამშობლოზე", რომლის შესრულებას დირიჟორობდა თვით ავტორი, აგებულია აზერბაიჯანელ ინტონაციებზე, ემყარება ნამდვილ მუსიკას, გაორკესტრებულია დიდი ოსტატობით და მრავალ ადგილში, მეტადრე ფინალში, უტყუარ და საინტერესო დინამიურ დაძაბულობას აღწევს.

დეკადაზე განსაკუთრებული რელიეფობით და კოლორიტულობით იყო წარმოდგენილი აზერბაიჯანის ხალხური მუსიკა,—აშუღების იბრაჰიმისა, ყარას, შუშინსკის, რზაევას, აშუღ მამედის და სხვათა მიერ შესრულებული მუხამბაზების სახით.

აზერბაიჯანის ხალხური მუსიკის მსმენელთათვის უდავო გახდა ის იშვიათი მზრუნველობა და ყურადღება, როგორითაც აზერბაიჯანის კომუნისტური პარტია და მთავრობა ეპყრობა ამ დარგს, ხალხური სიმღერისა და ცეკვის დარგს. საუკეთესოდ შერჩეული და მომზადებული სიმღერები და ცეკვები, ხალხური საკრავების მშვენიერი ხმოვანება, გუნდების და ცალკე შემსრულებელთა ოსტატობა, — აი ის, რამაც უზრუნველჰყო აზერბაიჯანული მუსიკალური ფოლკლორის გამარჯვება დეკადაზე.

ასეთია ჩვენი ზოგადი შთაბეჭდილებანი სომხურ და აზერბაიჯანულ მუსიკაზე. რაც შეეხება საკითხს თუ როგორ გამოჩნდა ქართული მუსიკა ამ დეკადაზე, ამის შესახებ შემდეგ წერილში.

ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები ე. ხოხაძე, ბ. კრავეიშვილი, გ. გოგიჩაძე, სახელმწიფო ოპერისა და საქართველოს ანსამბლების გაერთიანებული გუნდი საქ. ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ხელოვნების დამსახ. მოღვაწის ზ. აზმაიფარაშვილის დირიჟორობით ასრულებენ კომპ. ი. ტუსკიას ნაწარმოებს „სტალინს".

ლადო დოლაძე

შალვა მშველიძის მეოთხე სიმფონია

ქართული მუსიკის ანალებში უკანასკნელი წლები აღიბეჭდება, როგორც უაღრესად ინტენსიური და პროდუქტიული. განსაკუთრებით უხვი მოსავალი აქვს ინსტრუმენტალური მუსიკის, როგორც კამერულ, ისე მეტადრე სიმფონიურ ჟანრს. მიუხედავად მეტად ხანმოკლე ისტორიისა, ქართული სიმფონიური მუსიკა, მძლავრ კულტურულ ფაქტორად იქცა და მისი აღორძინების ნათელ ნიშნებს ვამჩნევთ. ამ ჟანრის მრავალფეროვან ფონზე ნათლად გამოირჩევა შ. მშველიძის მეორე სიმფონია, რომელიც არა მარტო კომპოზიტორის დიდი წარმატების მაჩვენებელია, არამედ მთელი ქართული სიმფონიზმის სერიოზულ გამარჯვებას წარმოადგენს. ამიტომ, ბუნებრივია შ. მშველიძის ახალ ნაწარმოებებთან დაკავშირებით ქართული სიმფონიური სტილის ზოგიერთ—პრინციპიალურ პრობლემას შევეხოთ.

სიმფონიური შემოქმედება ახალი ქართული მუსიკის მაგისტრალურ გზად იქცა. როდესაც ამ ჟანრის დიდ მიღწევათა მოწამენი ვხდებით, შეუძლებელია ერთი თვალსაჩინო მოვლენა განსაკუთრებით არ აღინიშნოს. უპირველეს ყოვლისა თვით იდეა სიმფონიზმისა ერთგვარ განმარტებას საჭიროებს. ბევრისთვის არ არის ცნობილი, რომ ცნება სიმფონიზმისა, როგორც გარკვეული შემოქმედებითი მეთოდის, გაცილებით უფრო ღრმაა და რთული, ვიდრე ცნება სიმფონიისა, როგორც ჟანრის. სიმფონიზმი, პრობლემური მუსიკის სფეროს ეკუთვნის და უპირველეს ყოვლისა მუსიკალურ-ფილოსოფიური განზოგადოების უნარს მოითხოვს. სიმფონიური მუსიკის მხატვრულ სახეებში აღბეჭდილი ზოგადი იდეები ორგანიულ განვითარებასა და ფორმის გაშლის დინამიურ პრინციპს ემყარებიან. ამავე დროს, სიმფონიური აზროვნება მარტოოდენ სიმფონიური ჟანრის პრივილეგიას არ წარმოადგენს. იგი ამ ჟანრის ფარგლებში ვერ ეტევა და მუსიკის სხვა დარგებშიაც ნათლად ამჟღავნებს თავის ძალას და მნიშვნელობას. ამის მრავალი მაგალითი შეგვიძლია დავასახელოთ. კერძოდ, პარადოქსად არ უნდა გვეჩვენოს ის მოვლენა, რომ ქართულ მუსიკაში სიმფონიზმის ელემენტებმა ჯერ კიდევ მაშინ ჰპოვეს ძლიერი გამოხატულება, როდესაც თვით ჟანრი სიმფონიისა ჩვენში სულ არ არსებობდა. ამ დებულების ნათელი დამამტკიცებელია „აბესალომის“ მესამე აქტი.

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, რომელიც ქართული სიმფონიური მუსიკის ისტორიას ფარგლავს, მრავალი ნაწარმოები შეიქმნა, მაგრამ მათ შორის ძალიან ცოტაა ისეთი, რომელიც ნამდვილი სიმფონიზმის ელემენტებს შეიცავს. ქართული სიმფონიური შემოქმედების უდიდესი ნაწილი მხოლოდ ნომენკლატურით მიეკუთვნება ამ ჟანრის სფეროს და ცხოვრების ღრმა დრამატიულ შეგნებამდე ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულა. ფორმის ფრაგმენტალობით და თხეკვადობით, თხრობითი სტილის დამახასიათებელი სტატიურობით არის აღბეჭდილი ქართული სიმფონიური მუსიკის მრავალი ნაწარმოები. როდესაც ამ გარემოებას ვითვალისწინებთ, შ. მშველიძის მეორე სიმფონია პრინციპიალურად ახალ სიტყვას წარმოადგენს და ქართული სიმფონიური მუსიკის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. იგი მნიშვნელოვანია არა მარტო როგორც მაღალ მხატვრული მუსიკალური ნაწარმოები. მეორე სიმფონიის სახით შ. მშველიძე დინამიური სიმფონიზმის დონემდე ამაღლდა, მასში აქტიურ-მოქმედებითი საწყისი იჭრება და მღელვარე ცხოვრების მაჯისცემას ვგრძნობთ.

მეორე სიმფონია კომპოზიტორის ორგანიული განვითარების ახალი ნაყოფია, რომელიც აგრძელებს და ანვითარებს მისი ადრინდელი კომპოზიციის „ზარის“ პატარა პარტიტურიდან მომდინარე და პირველ სიმფონიაში განზოგადოებულ ნაკადს, მაგრამ რასაკვირველია მეტი სიღრმითა და ოსტატობით. მუსიკალურ-მხატვრული სტილითა და იდეური კონცეპციით მეორე სიმფონია იმდენად ეწინააღმდეგება პირველს, რომ თითქოს ამ ორ ნაწარმოებში ერთიდაიგივე შემოქმედებითი იდეა სახიერდება სხვადასხვა ძალითა და ინტენსივობით. ეს სიმფონიაც ჟანრული სიმფონიზმის სფეროს უნდა მიეკუთვნოს, მხოლოდ ჟანრული საწყისი აქ უფრო დინამიზირებულია და უფრო აქტიური ენერგიით არის გაშლილი. მეორე სიმფონიაც ეპიურ-ლირიკული სიმფონიზმის ნათელი ნიმუშია, მხოლოდ ეპოსი აქ უფრო მკვეთრია და ელვარე ფერებით არის განათებული. საგულისხმოა, რომ თვით კომპოზიტორმა თაკის ახალ ნაწარმოებს სიხარულისა და გამარჯვების სიმფონია უწოდა. მძლავრდება და ძლიერდება ის მხნე ოპტიმისტური საწყისი, რომელიც თავიდანვე ორგანიულად იყო ჩანერგილი შ. მშველიძის მუსიკაში. სიმფონიის მუსიკალური სახეები მეტად გამჭვირვალე ატმოსფეროშია გახვეული და დიდი სიხარულის გრძნობით არიან განათებულნი. მთელი სიმფონიის მოძრაობა ჩვენ გვეხატება როგორც სიმფონიურად აღძერებული ეროვნული დღესასწაული.

მეორე სიმფონია ნათლად მოწმობს, რომ მისი ავტორი დიდ მუშაობას აწარმოებს სიმფონიის ორგანიული ფორმის დაუფლებისათვის. მართალია, ამ მხრივ მისი ახალი ნაწარმოები სრულიადაც ნიმუშს არ წარმოადგენს, მაგრამ კომპოზიტორს დიდი წარმატება ემჩნევა ამ მიმართულებით. ეს ძით უფრო აღსანიშნავია, რომ ფორმის საკითხი საერთოდ ქართული სიმფონიური მუსიკის აქილესის ტერფს წარმოადგენს დღემდე. თავისი გარეგანი აღნაგობით მეორე სიმფონია შედარებით უფრო ორგანიზებულია და გამართული, მისი პროპორციები უფრო ზომიერი და პლასტიკურია. ეს განსაკუთრებით სიმფონიის ყველაზე საუკეთესო განაპირა ნაწილებზე ითქმის. სიმფონიის ერთ-ერთ ღირსებას შეადგენს აგრეთვე მეტი ელასტიურობა და მრავალნაირობა ფაქტურის.

გადახალისება ემჩნევა კომპოზიტორის მუსიკალურ ენასაც. პირველ სიმფონიაძდე შ. მშველიძის ინტონაციური აზროვნება განსაზღვრული დიალექტის ფარგლებში იყო მოქცეული, რაც მის ძუსიკალურ სტილს საერთოდ ლოკალობის დაღს ასვამდა. თავის სიმფონიებში კი კომპოზიტორი აფართოვებს და ამდიდრებს ინტონაციური აზროვნების სფეროს საქართველოს მრავალფეროვანი მუსიკალური ფოლკლორის სხვადასხვა ელემენტებით, მაგრამ რაც უფრო მხიბველოვანია, მეორე სიმფონიაში კომპოზიტორი არ იზღუდება ლოკალური კოლორიტის ვიწრო ფარგლებით და ესწრაფვის უფრო განზოგადოებულ, ინთელიტურ სტილს. აქ უფრო მკაფიოდ სჩანს ვიდრე სხვა რომელიმე ძის ნაწარმოებში, ტენდენცია ნაციონალური და ზოგადევროპიული მუსიკალური კილოს ელემენტების სინთეზისა. კომპოზიტორს კარგად ესმის, რომ ამ სინთეზის ჭარეშე ძეუძლებელია ქართული სიმფონიზმის შემდგომი განვითარება. მეორე სიმფონიით შ. მშველიძემ მეტად თამამი ნაბიჯი გადადგა ეროვნულ-მუსიკალურ სტილის განზოგადოების, მისი ასე ვსთქვათ „ევროპიზაციის“ მიზნით, ისე რომ კომპოზიტორის ეროვნული ვინაობა ოდნავადაც არ იჩრდილება. ისეთი სტილისტური ალღოს მქონე კომპოზიტორს, როგორც შ. მშველიძეა, უნდა ვიფიქროთ, რომ არასოდეს არ მოელის დენაციონალიზაციის საფრთხე.

მეორე სიმფონიის პარტიტურა უაღრესად კოლორიტულია. ამ მხრივ ორკესტრის ყოველი ჯგუფის შესაძლებლობანი უხვად არის გამოყენებული. თუ წინად კომპოზიტორს უმთავრესად მიდრეკილება ჰქონდა ხის და ლითონის საკრავებისაკენ, მეორე სიმფონიაში მათთან ერთად დიდი გასაქანი ეძლევა სიმებიან ინსტრუმენტებს. სიმფონიის ღრმად შთამაგონებელ ნაკვეთს წარმოადგენს ნელი შესავალი. აქ მზადდება allegro-ს მთავარი თემის ელემენტები. ეს ნაწილი კი ფართოდ გაშლილ მოძრაობაშია მოცემული და ნამდვილი სიმფონიური allegro-ს პირველი საუკეთესო ნიმუშია ქართულ მუსიკაში. მისი კონსტრუქტიული ჩონჩხი რამდენადმე ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიის პირველ ნაწილს მოგვაგონებს, რომელთანაც მას, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ინტონაციურად არაფერი აქვს საერთო და არსებითად დამოუკიდებელია. მეთოდიური თანმიმდევრობით გაშლილ ექსპოზიციაში სიმებიანი ინსტრუმენტები დიდი სიხარულით გვაცნობენ რიტმიულად მეტყველ და ლაღ თემას (მიქსოლიური კილო). იქვე მშვენიერ ეპიზოდს წარმოადგენს ჰობოის პასტორალური მოტივი. იგი წინ უსწრებს და უშუალოდ ამზადებს მეორე, ლირიკულ თემას (ეოლიური კილო), რომელიც კვლავ ჰობოის საშუალებით სევდიანად იქარგება, სიმებიანთა ფონზე. ამ თემის მელოდია განსაკუთრებით მიმზიდველი და გრძნობიერი ჰხდება შემდეგში, როდესაც ის სიმებიანია და თბილ ტემბრით იმოსება. უკვე, ვრცელი ექსპოზიციის ფარგლებში კონტრასტირებული თემები საკმაოდ ფართოდ ვითარდებიან.

სონატური allegro ძირითადად აგებულია მთავარი თემის კვინტურ მოტივზე, რომლის რიტმიული ფიგურა იმდენად ცენტრალიზებულია, რომ თითქმის მთლიანად ეუფლება შინაგანი პულსაციით აღსავსე დინამიურ დამუშავებას და არა ნაკლებ დინამიურ რეპროზას.

აჩქარებულ, სწრაფვით მოძრაობას ხანდაზმით სწყვეტენ და ერთგვარი ფსიქოლოგიური პაუზის როლს ასრულებენ ხის ინსტრუმენტთა მეტად მიმზიდველი ლირიკული სოლოები. სიძფონიის მთელი პირველი ნაწილი მიმდინარეობს ორ დიდ და ფართოდ გაშლილ რიტმიულ ტალღაზე, რომლის განვითარება პირველ მძლავრ კულმინაციას აღწევს დამუშავების ბოლოში, მთელი ლითონის ახმაურებულ მასაში, ხოლო უფრო ძლიერ და მაღალ კულმინაციას კოდაში. აქ მუსიკა თავის წრეს გადასული, პომპეზური ხმოვანებით და გადამწყვეტი ხასიათით უფრო ფინალური ანოთეოზის ხასიათს ატარებს.

სინათლით და მოძრაობით აღსავსე allegro-ს შემდეგ მოულოდნელი კონტრასტის შთაბეჭდილებას სტოვებს სიმფონიის, მეორე ნაწილი andante. იგი ღრმა სულიერი სიმშვიდით არის მოცემული და ამაღლებული ლირიკის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. მის ღრმა ქართულ ჭარმონიას აქა იქ სასულიერო საგალობლის ელემენტები ექსოვება. აქ უპირატესი როლი აქვს ხის ინსტრუმენტთა გუნდურ ხმოვანებას, რომელიც საორღანო ხორულის მშვენიერ ნიმუშებს მოგვაგონებს. andante-ს ფორმა ოდნავ გაზვიადებულია და მისი მოძრაობის კონტურები მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი.

კვლავ ძხიარული ელფერი შეაქვს სიმფონიაში სტილისტურად ოდნავ ნარევ სკერცოს, რომელიც თავისი მსუბუქი საცეკვაო რიტმით და მოხვევური სიმღერის მსგავს ეპიზოდით მეტად კოლორიტულ ჟანრულ სცენას წარმოადგენს. ეს ნაწილი უმთავრესად სიმებიან ინსტრუმენტთა ჯგუფს მიჰყავს, რომელთა ხმოვანებაში კომპოზიტორი მეტად მოხდენილად იყენებს პიციკატოს ეფექტიურ ხერხს. აქა იქ ყურადღებას იქცევს იმპრესიონისტული სტილის დეტალები.

შ. მშველიძის სიმფონიებში შუა ნაწილებს საერთოდ ინტერმედიების ხასიათი აქვთ და სიმფონიის მთლიანობა უმთავრესად განაპირა ნაწილების ღრმა, შინაგანი კავშირით არის მიღწეული.

მოკლედ და კომპაქტურად არის აგებული სიმფონიის ფინალი. აქ მარტივ რონდოს ფორმაში, სიმფონიის სადღესასწაულო განწყობილება უძლიერეს გამოხატულებას იღებს. ორკესტრიდან დროებით გამოთიშული ლითონის ინსტრუმენტები კვლავ ზეიმური ყღერით იჭრებიან ფინალში. ეფექტიური რაკეტის მსგავს პატარა შესავლის შემდეგ საყვირების საზეიმო თემა გურული „ალიფაშას“ სიმღერას მოგვაგონებს. იერიშის და მოწოდების გრძნობით აღსავსე კოლორიტს აძლიერებს ბანების მხნე აქტიური მოძრაობა და ფლეიტების კრიმანჭული. მედგარი მარშის რიტმით აღფრთოვანებული ფინალი თითქოს საზეიმოდ გაწყობილ მაყრიონის ენტუზიაზმს გვიხატავს, განსაკუთრებით ტრიუმფალურია კოდა, სადაც სიმფონიის პირველი ნაწილის მთავარი თემა ელვარებით შემოიჭრება და ფანფარული რიტმით იფეთქებს საყვირებში. სიმფონია თავდება იმავე ინტონაციებით, რითაც დაიწყო, წრე შეიკრა. სიმფონიის პირველ ინტონაციებთან დაბრუნებით კომპოზიტორი კვლავ ხაზს უსვამს მის ეპიურ ხასიათს. დოლის ცემითა და მთელი ორკესტრის მქუხარე აკორდებით თავდება ეს საღღესასწაულო ეპოპეა.

სიმფონიური მუსიკა შ. მშველიძის შემოქმედებითი ნიჭის ყველაზე ძლიერი მხარეა. იგი ერთი პირველთაგანი იყო ჩვენში, რომელიც გამოვიდა სიმფონიური მუსიკის დიდ გზაზე და სხვებთან ერთად აგრძნობინა ყველას, თუ რამდენად დიდი ყოფილა ჩვენი უნარი მუსიკალური ნელოვნების იმ დარგში, რომელსაც არავითარი ნაციონალური ტრადიციები არ გააჩნდა. დღეს შ. მშველიძე შემოქმედებითი ზრდისა და ნაყოფიერების უაღრესად ინტენსიურ პერიოდს განიცდის. ამის ცხადი მაჩვენებელია მისი უახლოესი წლების მონუმენტალური კომპოზიციები.

თავისი სტილითა და ხასიათით შ. მშველიძის ხალხური სიმფონიზმი აღმავალი გზით მიემართება. მის წინაშე შემოქმედებითი განვითარების ახალი და მიმზიდველი პერსპექტივებია გაშლილი.

დ. ჟიტომირსკი

სიმფონიური მუსიკა დეკადაზე

მუსიკალური შემოქმედების მრავალ ჟანრს შორის ამიერ-კავკასიის დეკადაზე განსაკუთრებით ძლიერულად იყო წარმოდგენილი სიმფონიური მუსიკა; ეს ფაქტი არა მარტო უაღრესად საინტერესოა, არამედ დიდად ნიმანდობლივიცაა; ჩვენ თვალწინ ხდება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ძერები — აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ხალხურ-ნაციონალურ კულტურის წიაღიდან, თვით ხალხის ძიერ შობილი ფორმების განვითარების მეოხებით, ამჟამად იბადებიან და ექმნებიან ევროპიულად განვითარებული მუსიკალური ხელოვნების ახალი სკოლები. ამიერ-კავკასიის ხალხთა მუსიკა თავისი კულტურული სიმწიფის ახალ საფეხურზე ადის.

ამ მხრივ ჰეშმარიტად გასაოცარია აზერბაიჯანის მუსიკოსთა წარმატება. ექვსი წლის წინად თავისი ნაციონალური მუსიკის დეკადის დროს მოსკოვში აზერბაიჯანმა გვიჩვენა ხალხური შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშები, ნაციონალური ოპერის შექმნის პირველი ცდები. ჩვენ სიხარულით აღვნიშნეთ მაშინ ევროპიული პროფესიონალიზმის დასაწყისი აზერბაიჯანელ კომპოზიტორების შემოქმედებაში, მაგრამ აზერბაიჯანული მუსიკის ჰორიზონტზე მაშინ არ სჩანდა არცერთი კომპოზიტორი, რომელიც ოდნავ ძაინც ყოფილიყოს დაუფლებული სიმფონიური წერის ტექნიკას; ეხლა ჩვენწინ წარმოდგა მთელი პლეადა აზერბაიჯანის ახალგაზრდა კომპოზიტორებისა, რომლებიც გაბედულად და დაჯერებით გამოსთქვავენ თავიანთ აზრებს სიმფონიური ხელოვნების ურთულეს ენაზე.

ყარა-ყარაევის, სოლტან გაჯიბეგოვის, დოლუეტ გაჯიევის სიმფონიები, ნიაზის სიმფონიური პოემა და სიმფონიური სურათები, ელზა მაილანის გმირული უვერტიურა, ყველა თავის ინდივიდუალურ განმასხვავებელ თვისებათა გარდა, აღჭურვილნი არიან ფრიად მნიშვნელოვანი საერთო თვისებებით: ისინი არიან ნაწარმოებები, დიდი შემოქმედებითი ტემპერამენტით და დაუცხრომელი ძაიებელი აზრით დაწერილნი. არ უნდა დგავავიწყდეს, რომ ეს ჯერ კიდევ აზერბაიჯანის სიმფონიური კულტურის მხოლოდ პირველი მოსავალია. აზერბაიჯანის სიმფონისტების ახალგაზრდულობა თავს იჩენს ჯერ კიდევ საკმაოდ დაუდგენელ და გაურკვეველ ნაციონალურ სტილისტურ ხაზში და არა საკმაო ტექნიკურ გამოცდილებაში, მაგრამ ეს არის ახალგაზრდობა, რომელიც უაღრესად წარმტაც იმედებსა ბადებს. იმედებს ბადებს პირველ-ყოვლისა იმიტომ, რომ ახალგაზრდა აზერბაიჯანელ სიმფონისტებს შორის ჩვენ ვხედავთ ნიჭიერ, ენერგიულ შემომქმედთ, რომლებიც სწრაფად ეუფლებიან და იპყრობენ მუსიკალურ კულტურის მწვერვალებს. ფრიად დასაფასებელია, რომ ეს კომპოზიტორები გაბედულად აფართოვებენ თავიანთი ნაციონალური კულტურის ტრადიციულ ჩარჩოებს. არაფერია, თუ მათ პირველ ნახტომებს რუსული და საერთო ევროპიული სიმფონიური მუსიკის ფორმებისაკენ, თან სდევს მოდური გავლენების, მიბაძვების „საყმაწვილო“ სენი. ეს სამაძი არ არის, მუსიკის მსოფლიო ისტორიის გამოცდილებიდან ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს „საყმაწვილო სენი“ გაივლის და დარჩება მტკიცე კულტურული საძირკველი, დარჩება მრავალ ფილტრში გატარებული ოსტატის დაბვეწილი მხატვრული გემოვნება, და ამ საძირკველზე ბუნებრივად ჩამოყალიბებას დაიწყებს თვითეული ამ კომპოზიტორის მკვეთრად ნაციონალური და თავისებური სტილი. აი რატომ ვაფასებთ ოპტიმისტურად ისეთი კომპოზიტორების შემოქმედებითს ცდებს, როგორიც არიან ყარაევი, გაჯიევი, სოლტან გაჯიბეკოვი, რომელთა შემოქმედება, ნაციონალური სპეციფიკის თვალსაზრისით, შეიძლება ყველაზე მეტად საკამათო და სადავო იყოს.

ქართული მუსიკის კონცერტებმა დაგვანახეს კომპოზიტორ-სიმფონისტების დიდი ჯგუფის შემოქმედებითი მიღწევები. დიმ. არაყიშვილის, გრიგოლ კილაძის, შალვა მშველიძის, ანდრია ბალანჩივაძის სახელები და მათი მოღვაწეობა სიმფონიზმის სფეროში საკმაოდ ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირში. დეკადამ ხაზგასმით დაადასტურა, რომ ამჟამად საქართველოში არსებობს არამარტო ევროპიულად მომწიფებული სიმფონიური კულტურა, არაძედ სიმფონიის სავსეით გამორკვეული და დადგენილი ნაციონალური სკოლა, ძის საფუძველს წარმოადგენენ თავისებური ძელოდიები და ქართულ-ხალხურ საგუხდო ხელოვნებისათვის დაძახასიათებელი მუსიკალური აზროვნების უაღრესად თავისებური სისტემა. თავის დროზე მელიტონ ბალახჩივაძემ, დმიტრი არაყიშვილმა, უფრო მეტად კი ზაქარია ფალიაშვილმა შესძლეს ამ საფუძველზე აეგოთ და განვითარებიათ ქართული ოპერის ორგინალური სტილი. ამჟამად ქართველ კომპოზიტორთა ახალი თაობა ამ ისტორიულ ნაბიჯს სდგამს წმინდა ინსტრუმენტალური მუსიკის სფეროში.

საქართველოს თანამედროვე უთვალსაჩინოესი სიმფონისტების დიდი ღვაწლი და დამსახურება ის არის, რომ მათ დაჯერებითა და მიზანდასახულობით, როგორც ამას სჩადიოდნენ თავის დროზე რუსული სიმფონიის ფუძემდებლები, გამოჰყავთ მასალა და სტილიც თავიანთი ნაწარმოებისა ღრმა ნაციონალური ნიადაგიდან; პირველყოვლისა, ეს ითქმის ისეთი კომპოზიტორების ნაწარმოებზე, როგორიც არიან კილაძე, მშველიძე და ტუსკია. დეკადაზე ჩვენ მესაძლებლობა გვქონდა მოგვესმინა კილაძისა და მშველიძის ახალი სიმფონიები. ორივე ეს ნაწარმოები, კოლორიტით რამდენადმე მკაცრი, მასშტაბით დიად-მონუმენტური, უაღრესად მთლიან შთაბეჭდილებას სტოვებს.

კილაძის გმირულ სიმფონიაში შთაბეჭდილების მთლიანობას აძლიერებს დიდი არქიტექტურული სიმწყობრე, ნაწარმოების მკვიდრად და მჭიდროდ აგება, რაც ასე დამახასიათებელია კილაძის მანერისათვის, მაგრამ ამაშივე იმალება კილაძის მუსიკის ერთ-ერთი თვისება, რის გამოც მსმენელი მთლიანად კმაყოფილი არ რჩება, კილაძის სიმფონიაში ზოგჯერ ცოტაა „ჰაერი“, „გამონათება“, სახეების კონტრასტები, ურომლისოდ დიდ ნაწარმოებს არ შეიძლება ერთგვარი მონოტონური ხასიათი არ მიეცეს. რამდენი სიცხოველე შეემატებოდა მისი მუსიკის ათვისებას და მისი თავისებური სტილის შეგრძნობას, რომ გამოსახვითს საშუალებათა შერჩევაში ავტორი ესოდენ სწორხაზოვნად მკაცრი და დოგმატიური არ იყოს!

შ. მშველიძის ახალ, მეორე სიმფონიაში, ისევე როგორც წინანდელ მის ნაწარმოებში, სიხარულსა გვგვრის თემატიური მასალის სიუხვე. თავის ცნობილ „ზვიადაურიდან“ მოყოლებული შ. მშველიძე დაუცხრომლად განაგრძნობს სრულყოფას, როგორც დიდი ფორმის ოსტატი. პირველის შემდეგ მეორე სიმფონია უეჭველად წარმოადგენს მშველიძისათვის შემოქმედებითი სიმწიფის ახალ, უფრო მაღალ საფეხურს. სიმფონია ბადებს მთელ რიგ მკვეთრ და მკაფიო შთაბეჭდილებებს, მაგრამ, როგორც დიდი სიმფონიური ჟანრის სფეროში მოღუშავე კომპოზიტორს, მშველიძეს ჯერ კიდევ საკმაოდ არ მოეპოვება ერთი ფრიად მნიშვნელოვანი თვისება, — მას არ ჰყოფნის ის, რასაც შეიძლება უწოდოთ სიმფონიური დრამატურგიის ხელოვნება ე. ი. დიდი მუსიკალური მოქმედების თავიდან ბოლომდე გაშლისა, და გატარების, განვითარების ისეთი მთლიანი ძაფის გაბმის უნარი, რომელსაც მიჰყავს მსმენელის ყურადღება და რაზმავს მას; მასალის დრამატურგული დაგეგმვის უქონლობა, ან არა საკმაო დაგეგმა რამდენიმედ ანელებს, მშველიძის მკვეთრი პარტიტურების შთაბეჭდილებას.

იონა ტუსკია დეკადაზე გამოჩნდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე მომწიფებული და ნაციონალურ თავისებურების მქონე ოსტატი ქართული მუსიკისა, შესანიშნავი სიდიადით და ნამდვილი საზეიმო განწყობილებით აყღერდა მისი პოემა — „მიმართვა სტალინისადმი“ სიმფონიური ორკესტრის, გუნდისა და სოლისტების შესრულებით. მეტად საამური შთაბეჭდილება დასტოვა აგრეთვე მისმა საკონცერტო კონცერტმა.

ქართულ სიმფონიურ სკოლის წიაღში თავისებური კვალი გაჰყავს ანდრია ბალანჩივაძის შემოქმედებას. იდეური მაშტაბების და ბგერადობის წმინდა ფიზიკური იმპოზანტობის თვალსაზრისით ა. ბალანჩივაძის პარტიტურები, შეიძლება, ვერ უსწორდებოდნენ თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების ზოგიერთ ნაწარმოებებს, მაგრამ „მეგობარ-ბულის“ [illegible] ... ტორი მსმენელ[illegible] ... ჩვეულებრივ[illegible] ... მშობლიუ[illegible] ... ნატიფი და დახვეწილი ათვისებით, საქართველოს მუსიკალური ატმოსფეროს შეგრძნობით. ა. ბალანჩივაძის ახალი სიმფონია უნდა მიეკუთვნოს მის ბრწყინვალე შემოქმედებითს გამარჯვებებს, ამ სიმფონიის მოსმენამ პირადად მე უაღრესი მხატვრული სიხარული განმაცდევინა.

ა. ბალანჩივაძის გვერდით ძინდა აღვნიშნო სიმფონიური ციკვის „სახეიმოს“ ავტორი გ. თორაძე, ომის თემაზე დაწერილ ვოკალურ-სიმფონიური ციკლის ავტორი ო. ბარამიშვილი, შესანიშნავი საფორტეპიანო კონცერტის ავტორი ა. მაჭავარიანი. ჩემის აზრით, საძივე ამ ავტორს აერთიანებს შემოქმედების მკვეთრი რომანტიული ხასიათი და მუსიკალურ-კულტურული ჰორიზონტის სიფართოვე.

მხატვრული შთაბეჭდილებების მდიდარ წყაროს და საინტერესო დაკვირვებათა ობიექტს წარმოადგენდნენ სიმხური სიმფონიური მუსიკის კონცერტები. თანამედროვე სიმხური მუსიკის ყველაზე მკაფიო და პრინციპიალურ ძნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს არამ ხაჩატურიანის შემოქმედება. ხაჩატურიანის მეორე სიმფონიაში, როგორც მის წინანდელ პარტიტურებში, გვიზიდავს ტემპერამენტის არაჩვეულებრივი ძალა, ფუნჯის სიუხვე, განვითარების მშფოთვარე, გატაცებული ხასიათი. უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ თავის ნაციონალურ მუსიკალური სკოლის საფუძვლებს ხაჩატურიანი უთავსებს ევროპიული სიმფონიზმის უახლეს მიღწევებს. აღსანიშნავია აგრეთვე მისი წერის ფრიად ძლაფრი ინდივიდუალური მანერა. სწორედ ხელოვნების ამ მრავალმხრივობამ და სიმწიფემ ხაჩატურიანს საშუალება მისცა გამოსულიყო ფართო სრულიად-საკავშირო მუსიკალურ სარბიელზე და მოეპოვებია პატივისცემა და სიმპატია მსოფლიოს მსმენელისა. ხაჩატურიანის ამ თვისებებმა გამოხატეს არა მარტო მისი პირადი შემოქმედებითი ზრდა, არამედ მთელი სომხური ნაციონალურ-მუსიკალური სკოლის არაჩვეულებრივად სწრაფი საერთო ზრდა. ამაში ჩვენ დაგვარწმუნა ახლახან დამთავრებულმა დეკადამ.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს სომხური სიმფონიური მუსიკის სტილისტური გზების მრავალმხრივობა. ამ მხრით მე დიდი სიხარული განმაცდევინეს ნიჭიერ სიმფონისტის გრიგოლ ეგიაზარიანის ნაწარმოებებმა. პოემით „სომხეთით“ მან თავი გვიჩვენა არა მარტო როგორც ნაციონალური სკოლის წარმომადგენელმა, არამედ როგორც კომპოზიტორმა, რომელიც აღჭურვილია ორკესტრის უაღრესად ორიგინალური და დახვეწილი შეგრძნობის უნარით. თუ ხაჩატურიანის შემოქმედებაში სჭარბობს ფართო დეკორატიულ-ფერადოვანი ფორმები, ეგიაზარიანი მეტწილად იჩენს მისწრაფებას დახვეწილი, ნატიფათ დამუშავებული სიმფონიური ქსოვილისადმი. ყველაფერს, რაც კი მის ხელიდან გამოდის, აზის დაწმენდილი გემოვნების და კულტურის ბეჭედი. დეკადაზე შესრულებული ორი მისი ნაწარმოებიდან ყველაზე გარკვეული და დადებითი შთაბეჭდილება დასტოვა პოემა „სომხეთმა“. სავიოლინო კონცერტი, რომელზედაც კომპოზიტორი კიდევ განაგრძობს მუშაობას, მე მიმაჩნია ჯერ არასასვსებით დამთავრებულ ნაწარმოებად.

უაღრესად თავისებურია და ბევრი თვისებით თითქმის ხაჩატურიანის შემოქმედებას უპირისპირდება სომხეთის ერთერთი თვალსაჩინო ოსტატის არო სტეპანიანის შემოქმედება. მის ახალ სიმფონიაში ბევრი ახალი, ლირიკულად მომხიბვლელი სახეა. მიუხედავად ამისა მისი თხზულება, როგორც დიდი საორკესტრო კონცეპცია, ჩემის აზრით, არ გამოიყურება საკმაოდ დამაჯერებელ ნაწარმოებად, რაც, ჩემის დასკვნით, იმით არის გამოწვეული, რომ ინსტრუმენტირება ამ ნაწარმოებისა რამდენადმე დუნე და ნაკლებ ზუსტია. სომხური სიმფონიური პროგრამის ძლიერ ნომრებს მიეკუთვნება ახალგაზრდა კომპოზიტორების— არო ბაბაჯანიანის, ა. არუთინიანის, ე. მირზოიანის ნაწარმოებები. ტექნიკურად ეს ნაწარმოებები სავსებით თანაბარი არ არიან, მაგრამ მათ მსმენელი გაიტაცეს თავიანთი შემოქმედებითი ტემპერამენტით, უშუალობით და სიმკვეთრით. ამ კომპოზიტორთა სახით მოდის სომხური მუსიკის ახალი თაობა, რომელსაც მოეპოვება არა მარტო ნიჭი, არამედ მუსიკალური კულტურის მტკიცე საფუძველი.

ყოველივე ზემოთქმული ჩემს მიერ დეკადაზე მიღებული პირველ შთაბეჭდილებათა ჩანაწერს წარმოადგენს. საჭიროა გავიდეს კიდევ ერთგვარი დრო, რომ ეს უხვი შთაბეჭდილებები დაიწმინდნენ, დადგინდნენ და დამთავრებულ შეფასებათა დასკვნებად გადაიქცნენ. ჩემთვის უდავოა, რომ ახლახან დამთავრებული დეკადა გახდება სეერიოზულ ისტორიულ ნიშანსვეტად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მუსიკალურ განვითარებაში.



აზერბაიჯანელი მუსიკის კონცერტზე. კომპოზიტორ ჯოვდეთ გაჯიევის სიმფონიის მეორე ნაწილის შესრულება. დირიჟორობს ხელოვნების დამსახ. მოღვაწე აშრაფ მასანოვი.

ანა ღვინიაშვილი

საბავშვო წიგნის ილუსტრატორი

ამასწინად გაიხსნა ი. გაბაშვილის სურათების გამოფენა. ხსენებული მხატვრის შემოქმედებაში საბავშვო წიგნის ილუსტრაციას ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ჩვენი წერილის მიზანიც მხატვრის შემოქმედების ამ მხარის განხილვაა.

თავისებური და—რთულია საბავშვო წიგნის ილუსტრატორის ლაბორატორია. აქ უნდა იყოს არა მარტო ბავშვის ესთეტიკური გემოვნების შესაფერი, ძისი თვალის დამშვიდებელი მხიარული ფერები, არამედ იმავე დროს უნდა ფეთქდეს მხატვრის გული, ძალაი გრძნობა და აზრი, რომელნიც გაუადვილებენ ბავშვს სრულყოფილად შეიცნოს საილუსტრაციოდ აღებული ტექსტის იდეა, დედა-აზრი.

თუ გრიგოლ ტატიშვილი სამართლიანად ითვლება ფაქიზი ხელოვნების—ქსილოგრაფიის დიდ ოსტატად და საბავშვო სახელმძღვანელოების, საბავშვო ჟურნალების ილუსტრაციების ფუძემდებლად, ოსებ გაბაშვილი უყოყმანოდ ჩაითვლება ქართული საბჭოთა საბავშვო ფიგურებიანი წიგნების ერთ-ერთ პირველ საუკეთესო ოსტატად.

ეს სახელი ღირსეულად დაიმსახურა ი. გაბაშვილმა არა იმიტომ, რომ ის 54 წიგნის ილუსტრატორია, არამედ იმიტომ, რომ ის დიდი სიყვარულით, გატაცებით, სიფაქიზით, პასუხისმგებლობით ეკიდება საბავშვო წიგნის ილუსტრაციას. მხატვარს უძნელდება სურათის გამოტანა ლაბორატორიიდან ვიდრე მას სრულყოფამდე არ მიიყვანს. ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა თავისი საქმის ოსტატისა.

საბჭოთა საბავშვო წიგნის ილუსტრაციას საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ თავიდანვე მიაქციეს სათანადო ყურადღება. საბავშვო წიგნის ილუსტრაციები იმავე როლს ასრულებენ ბავშვის ნებისყოფისა და ფსიქიკის აღზრდაში, რასაც ასრულებს ნამდვილი მხატვრული ღირსებით აღსავსე საბავშვო ნაწარმოები. ილუსტრაციამ წიგნში წარმოდგენილი ცოდნის ელემენტები თვალსაჩინო უნდა გახადოს, რათა ბავშვში მისდამი, ე. ი. ცოდნისადმი ინტერესი გაალოველოს.

ი. გაბაშვილი საბავშვო წიგნის ილუსტრაციებზე მუშაობას 1933 წლიდან იწყებს. პირველი მისი ნამუშევარი იყო „დიდაქტიკური მასალა", შედგენილი თ. ერისთავის, თ. თუმანიშვილისა და პ. ჭანიშვილის მიერ.

„დიდაქტიკურ მასალაში" წარმოდგენილია ქალაქისა და სოფლის ურთიერთკავშირი: ბავშვისათვის ნათელი უნდა გამხდარიყო ის, თუ რას აძლევს ქალაქი სოფელს და სოფელი ქალაქს: აი, სოფლიდან მოდიან ურმები, საბარგული მანქანები—დატვირთული სხვადასხვა ჭიონახ�ული, ხოლო ქალაქიდან ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ფართალი, და სხვა. „დიდაქტიკური მასალა" უტექსტოა, ბავშვების ხელით გამოსაკრელი. მხატვარს საგნები და ნივთები უნდა აემეტყველებინა.

მხატვარმა მაშინ ნატურალისტური გზა აირჩია, თითქოს იმისთვის, რომ საგნები ზუსტად წარმოესახა. იმავე დროს იგი ნაწილობრივ შებოჭა დიდაქტიკური მასალის აღმზრდელობითმა მიზანდასახულობამ. საერთოდ აქ საგნები ვერ დალაგდნენ მოქმედებასა და შინაგან ურთიერთ კავშირში. ამ პირველი ნაშრომის ღირსება ფერების სიცოცხლეში გამოიხატა.

მაგრამ „დიდაქტიკური მასალის" ავტორებთან შეთანხმებულმა თანამშრომლობამ მხატვარ ი. გაბაშვილს მაინც დიდი სამსახური გაუწია: იგი უშუალოდ დაინტერესდა საბავშვო წიგნის რაობით და ხალისით ჩაება საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის საქმიანობაში.

შემდეგ ი. გაბაშვილი მუშაობს მარტივი შინაარსის ზღაპრის „ბუ"-ს დასურათებაზე. წიგნის ავტორმა პ. ჭანიშვილმა ზღაპარში აღადგინა ხალხის შეხედულება ფრინველების ბიოლოგიურ თვისებებზე, მათთვის ხალხის მიერ მინიჭებული ფუნქციები ავტორმა მთლიანი ამბისათვის გამოიყენა და ზღაპარი სოციალური შინაარსით გამოკვეთა.

„ბუს" მხატვრულმა გაფორმებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია ბავშვებში, საზოგადოებაში. „ბუს" ილუსტრაციებით ი. გაბაშვილი დამკვიდრდა და განსტაციცდა, როგორც საბავშვო წიგნის ილუსტრაციის მომავალი საინტერესო ოსტატი.

მეორე საბავშვო წიგნი, დასურათებული ი. გაბაშვილის მიერ სხვა ავანისაა, ეს არის გ. კაჭახიძის საბავშვო ლექსები: „ჩემი ძმა".

დიდი სიფაქიზით და მონდომებით არის შესრულებული ფეიზოლოგიური სურათი. აი ორი სვანი ბიჭიდან წამოსულან სწავლისათვის. თქვენს წინ სდგას ორი მოქნილი ტანის ყმაწვილი, ისე ცოცხლად, თითქოს ახლავე დაილაპარაკებენო. ან კიდევ ლექსი „გაგვიზაფხულდა"-ს სურათები, ხეივანი—პერსპექტივით, წინა პლანზე — მაღალი ხეები: გრძნობთ გაზაფხულის სიცბოს, ჰაერს, ამ ხეებს ოდნავ რხევასაც კი — ნაადრევი გაზაფხულის ცივი ქარისაგან, ან კიდევ ლექსი „საღამო სოფელში"-ს სურათები: სოფლის შუკები, ოდები, კარმიდამო, ცა—გასაოცარი სიცხოველით არის მოცემული, თითქოს ნამდვილად გრძნობთ საღამოს ბინდს, გესმით მწყემსის სტვენა, სოფლის ნახირის ხმაური.

წიგნის თითოეულ ლექსს თან ახლავს არეული ბეტანილი, საში-ოთხი შტრიხით დახატული, პატარა სურათები. მიუხედავად სურათების გაფანტული ადგილმდებარეობისა, ისეთ მთლიანობაში არის მოცული, რომ მათი ერთად მიწყობა—ეს იქნება მთლიანი კომპოზიცია, გამომდინარე ლექსის იდეიდან. ამას გარდა წიგნში წარმოდგენილი ცოცხალი, მრავალფეროვანი ტიპაჟი: სვანების, ბავშვების, სკოლის დარაჯების, კოლმეურნე ქალების, მოხუცების, დედების, ცხოველების, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხის პეიზაჟი.

ნაკლები ექსპრესიით არის დასურათებული „ჩრყილი და ჭიანჭველა". ეს ცნობილი და ბავშვებისათვის საყვარელი ხალხური ზღაპარია, რომელსაც „ძაღალი მორალი—მეგობრისათვის თავდადება ახასიათებს. ზღაპარში მწერები, ცხოველები და ფრინველები გადამიანებულნი არიან და ასახიერებენ ადამიანთა დამახასიათებელ თვისებებს: თავდადებას, ერთგულებასა და მეგობრობას.

მხატვრისათვის ზღაპრის მასალა დიდ გასაქანს არ წარმოადგენს: ერთი და იგივე მოქმენტები, ერთი და იგივე პოზები, მაგრამ ი. გაბაშვილმა ყველფერი ეს მაინც საინტერესოდ წარმოსახა. ზღაპარში მთავარი რწყილია, რომელიც აგზნებულია თავის მეგობარი ჭიანჭველის გადარჩენისათვის. ის არას დაეძებს: იტანს წვალებას, თავის დამცირებას, თხოვნას, ოღონდ მეგობარი დაიხსნას გაჭირვებიდან. მართლაც, თუშური ქუდით, ქალამნებით, მხარზე გადაკიდებული პატარა ნაკრაული საგზლით ვისთან არ მიდის ეს მწერი: მუხასთან, ყვავთან, კრუნჩთან, ორმოსთან, თაგვთან, კატასთან, ძროხასთან. ყველა ამათ დაბლა უხრის თავს და ემუდარება მისცენ ის, რაც სჭირდება ბაწრის დასაგრეხად.

ი. გაბაშვილი მარტო ფერების დამმორჩილებელი არ არის. მისი მეორე თვისება მკვდარი საგნების გაცოცხლება და ამეტყველებაა. ეს ყველაზე უკეთ შესძლო „თხა და ვენახის" სურათებში, რაც მხატვარს თავისი დამახასიათებელი მოფიქრებით აქვს დაწერილი. არის საგნები, რომელთა ცოცხლად გამოსახვა საძნელია. ავიღოთ თუნდაც ორმო, ტანგი, და სხვა. მაგრამ „თხა და ვენახის" მხატვარს ამის გაცოცხლებაც უცდია. აი თოფი! ისე არის დაყენებული, თითქოს ეს არის ვიღაცამ ისროლა აქედანო.

ი. გაბაშვილმა მთელი წლების განმავლობაში, დაკვირვებული მუშაობითა და შემოქმედების დიდი უნარით, თითოეული სურათის ტექნიკური შესრულება აიყვანა სრულყოფამდის. ეს ემწნევა მის მიერ სამამულო ომის პერიოდში დასურათებულ წიგნებს.

აქ პირველ რიგში უნდა ავიღოთ ილო მოსაშვილის „ორი მონადირე".

ილო მოსაშვილი საინტერესო საბავშვო პოეტია. პოეტს ერთნაირი უნარით შეუძლია დაუხატოს ბავშვებს, როგორც ადამიანთა და ცხოველთა ურთიერთდამოკიდებულება, განწყობა, სულიერი ოვისებები, ისე ცხოველთა ბიოლოგიური და ზოოლოგიური მხარე, ველური ინსტიქტები, ზნე-ჩვეულებანი, ბრძოლის ხერხები. ყველა ამას პოეტი ნიჭიერად ჰკრავს ერთ მთლიან ამბად. ამიტომ არის, რომ ილო მოსაშვილის თემა, რაც უნდა ნაცნობი იყოს, ისეთი ახალი ფორმით, რიტმით და რითმით არის გადმოცემული, რომ სრულიად ახალი და საინტერესო ხდება.

ასეთია „ორი მონადირეც". აქ ორი მთავარი მოქმედი პერსონაჟია: მელა და გარეული კატა. მელა ჩუმი, ეშმაკი, ვერაგი, მლიქვნელი, სხვისი მონაპოვრის დამპატრონებელია; ხოლო გარეული კატა—გაბედული, პირდაპირი და მარჯვე მონადირე.

ფრინველთა საქეიფო, ტყე, დილა, კაკბის კაბასავით დახატული ქედები და ორი მშიერი მონადირე—აი მხატვრის ტილოსათვის გამზადებული მასალა.

მხატვარმა წიგნის გვერდები არ დატვირთა სურათებით, მან ლექსს დაუთმო პირველი ადგილი და ამით ბავშვს საშუალება მისცა ფრინველთა ზნე-ჩვეულებათა ნათლად წარმოდგენისა, ნაწარმოებით დატკბობისა. მხატვარი ასეთ გაბარბაზში აკ შემცდარა.

მხატვარმა წიგნის ფართე არეზე წარმოსახა ტყის კონტურები, ლერწმები, ხის ტოტები, წინა პლანზე კი დააყენა მშიერი მელა და გარეული კატა, მათი ნადირობის წყურვილი, მათი სხვადასხვა ხერხი და მოქმედების გამომხატველი გამომეტყველება.

როგორც პოეტს, ისე მხატვარს თანასწორი სიძლიერით აქვთ გამოხატული ნადირობის მომენტები.

კომპლექსური ხასიათისაა ი. გრიშაშვილის „ანბანთ-ქება". ბავშვი ამ წიგნიდან არა მარტო ანბანსა და მის თანამიმდევრობას ეცნობა და სწავლობს; წიგნში წარმოდგენილია თანამედროვე ცხოვრების მომენტები, ახალი საგნები და ნივთები, აქ არის: ავტო, გემი, ორთქლმავალი, მთელი ეს საგნები ერთ მტკაცელ ფურცელზე ისე ოსტატურად არის განლაგებული გაბაშვილის მიერ, რომ არც ერთი პაწია ნივთი და მისი ნაწილებიც კი უჩინარი არ არის. ბავშვი აშკარად ხედავს, აშრნეულ და ახსომებს მის მოყვანილობას და დანიშნულებას. თითოეული საგანი, ნივთი, სულიერი და უსულო ცალკე, განყენებულად კი არა დგას, არამედ ყველა თავის შესაფერ გარემოშია მოქცეული. ბუხართან ბრიალაცდგია, გემთან მისი შესაკეთებელი იარაღები: გაზი, ჩაქუჩი, ხერხი, ბურღი და სხვა. თითოეული საგანი სტატიური არ არის, არამედ ცოცხალი, მოძრავი. ყოველივე ამით მხატვარმა „ანბანთ-ქება" უფრო გაცხოველა და მეტი შემეცნებითი ხასიათი მიანიჭა.

სულ სხვაა გაბაშვილის უკანასკნელი ნამუშევარი. ეს არის ხალხური ზღაპარი „ნაცარქექია".

ძალზე სადაო და ცოტა არ იყოს, გაუგებრობასაც კი იწვევს ზღაპრის მხატვრული ინტერპრეტაცია, მიუხედავად მისი ვირტუოზული შესრულებისა.

„ნაცარქექია" მეტად საინტერესო და ცნობილი ზღაპარია. ამ პატარა მოკვეთილ ზღაპარში ქართველმა ხალხმა ყურადღება გამახვილა ადამიანის სახრიანობაზე, მოხერხებულობაზე, სწრაფმოსაზრებაზე, რომელსაც არა მარტო პიროვნება, არამედ ხალხი და ხშირად ჯარიც კი გამოიყენებს გაჭირვებიდან.

ზღაპარში ნაცარქექია თითქმის ჩიაკაცად, სუსტი აგებულობით არის წარმოდგენილი. არავითარი საბუთი არა გვაქვს იმისა, რომ ის იყო ღორმუცელა, ლოთი, რის გამოც დიდი ლიპი, წითელი, ვეება კარტოფილის მსგავსი, ცხვირი და საშინელი უსახიერო უნდა ყოფილიყო, როგორც დასურათა გაბაშვილმა. ყალბად აქვს რა წარმოდგენილი ზღაპრის მთავარი გმირი, მთელი მისი მოძრაობაც ყალბად აქვს მხატვარს გადმოცემული. აიღეთ თუნდაც მისი კერასთან ჯდომა: ნაცრისმქექავი კი არა ზის თქვენ წინ, თითქოს ახლა შემოვიდა შეზარხოშებული, სიცივისაგან შეშფოთებული კაცი და ცეცხლს მიეფიცხაო. აიღეთ დევთან მისვლის სცენა, თუნდ მისი დევის ზურგზედ ჯდომა, თუნდა ჭერზე გაკვრა და სხვა მომენტები,—მიუხედავად იშვიათი ტექნიკური შესრულებისა და ეფექტიური ფერებისა, მაინც ყალბია და არ გამომდინარეობს ზღაპრის იდეიდან.

დიმიტრი გენაშვილი

ვაჟა-ფშაველა

(წერილი მეოთხე)

„ალუდა ქეთელაურის" შემდეგ, ვაჟა-ფშაველას ადამიანური იხდივიდუალობა არც-ერთ ნაწარმოებში ისე ძლაფრად არ ძხილდება, როგორც „სტუმარ-მასპინძელ"ში". აქ, ამ პოემაში დრამატიული კოლიზია იმავე საფუძველზეა წარმოშობილი, რომელიც ქეთელაურის ბედისწერად იქცა; ხოლო გაშლა და განვითარება კონფლიქტისა სულ სხვა გარემოცვაში და განსხვავებულ ეროვნულ ორგანიზმში ხდება. ჯოყოლას, ისე, როგორც ქეთელაურს, თემი ბრალს სდებს, რომ დაარღვია საღვთო წესად მიღებული ტრადიცია, ის ტრადიცია, რომელსაც თემობაში ჯერ კიდევ ჰქონდა ზნეობრივი ძალა და თემის დაშლილ ორგანიზმის ნაწილებს ერთი-მეორესთან აკავშირებდა. ჩვენ წინა წერილში დავადასტურეთ, რომ თემის ბრალდება ქეთელაურის მიმართ მოკლებულია საფუძველს. თეზისის სახით იგივე შეიძლება ითქვას ჯოყოლას ძიძართაც. ამ ადამიანებისადმი დამოკიდებულებაში **თემი თვით არის დამნაშავე,** რადგანაც იგი **თვითონ არღვევს ზნეობრივ ტრადიციასა და ადათს, რომელიც ოდესღაც ღვთიურ კანონად იყო მიღებული ძველი თემის მიერ.**

კონფლიქტი, რომელიც პოემაში ტრაგიკულ სიმძლავრესა და სიმაღლეს აღწევს, იქმნება იმ მომენტიდან, როდესაც გმირის სულში იბადება მოთხოვნილება სტუმარ-მასპინძლობის ხელშეუხებელი ადათის დაცვისა. ისმება კითხვა: ვის თავდასხმისაგან იცავს ჯოყოლა იმ სამღვთო კანონს, რომელიც ძველი თემისათვის წარმოადგენდა ვაჟკაცურ და ზოგად ადამიანურ მშვენებას? რატომ დასჭირდა გმირს საკუთარი, განუმეორებელი სიცოცხლის განწირვა და საკუთარი თემის წინააღმდეგ მახვილის აღმართვა, მახვილისა, რომელიც მოწოდებული იყო დაეცვა თემის ღირსება და სახელი?

დასმული კითხვის პასუხი ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძლობაში" უნდა ვეძიოთ.

პოემიდან ვიცით, რომ ვაჟკაცობით განთქმული ზვიადაური შემთხვევით შეხვდება ნადირობიდან დაბრუნებულ გზად მიმავალ ჯოყოლას. ორივე პიროვნება ერთი-მეორისათვის უცნობია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ჯოყოლას, თანახმად ადათისა, გაუნაწილოს ნანადირევი და მიიწვიოს სტუმრად სახლში. მთის სათემო წესით — „სტუმარი ღვთისაა" და რაკი მასპინძელის სახლის ზღურბლს გადააბიჯებს, იგი ხელშეუხებელ პიროვნებად იქცევა. თემის წესით არავის არა აქვს უფლება სტუმარს აწყენინოს, მით უფრო ვნება მიაყენოს მას. ყველაზე უდიდეს ცრდვათ სტუმარ-მასპინძლობის სამღვთო კანონის დარღვევა ითვლებოდა თემში. და მართლაც ჯოყოლა გულწრფელად სთხოვს უცნობს, ეწვიოს სტუმრად. „ამაღამ ჩემთან წამოდი, მე გაგიძღვები თავადა. თუ კარგად არ დაგიხვდები, არც დაგიხვდები ავადა. ხვალ თვითონ იცი, ძმობილო, საითაც გინდა იარე. ზოგს მე გიამბობ ჩემს დარდსა, ზოგიც შენ გაძიზიარე". ზვიადაური ჯოყოლას გულწრფელ თხოვნას ასრულებს: „გესტუმრო, უარს არ გეტყვი, გიძველი ჯიხვის ზიდვასა", პოემის ძეაავალ ნაწილს ვაჟა ამმდეგი სიტყვებით ამთავრებს: „ბევრი იუბნეს აბბავი **ერთ-ურთს გაეცხენ გზაშია".**

ამბავთა დამშვიდებული მსვლელობა პროლოგში ვაჟას სჭირდება გმირების ხასიათთა მხილებისა და იმ ძალაფრი კოლიზიის შექმნისათვის, რომელიც პოემის გვირგვინს წარმოადგენს. მსტოვარის საშუალებით თემი შეიტყობს ზვიადაურის მისვლას; იგივე თემი მიხვდა, რომ ბნელი ღამე იყო მეგზური ზვიადაურისა, ხოლო მასპინძელი მისი საუკეთესო წევრი — ჯოყოლა. ამ შეგხებამ დაბადა თემში შურისძიების გრძნობა: „აღელდა მთელი სოფელი: ბალღი, კაცი და ქალია. უნდა შასწირონ თავის მკვდარს ზვიადაურის თავია; **უნდა მტრის საფლავზე დაკლან, როგორაც წესი არია"** აქ, როგორც ვხედავთ შურისძიების საკითხი, ისე, როგორც „ალუდა ქეთელაურში", სარწმუნოების საფუძველზე შეხდება; მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ქრისტიანული ეთიკის მაგიერ მას მაჰმადიანური ზნეობა უდევს საფუძვლად. „სისხლის აღება, მკვლელობისათვის მოკვლა,—სწერდა ვაჟა,—ყველა მთიელს აქვს წესად, მაგრამ **საფლავზე დაკვლა და ამგვარად „შეწირვა" მაჰმადიან მთიელების ადათია".** მაჰმადიანური სარწმუნოების მოტივით თემმა ფეხქვეშ გასთელა სტუმარ-მასპინძლობის სამღვთო კანონი და ქურდულად დაესხა თავს ჯოყოლას სახლში შესულ, ხელშეუხებელ სტუმარს—ზვიადაურს.

თემის რაინდულ ტრადიციებზე აღზრდილ ჯოყოლას ვერ წარმოედგინა, **თუ როგორ გაბედა თემმა საკუთარი თავის უარყოფა და სტუმრისადმი ყველაზე უწმინდესი მოვალეობის დარღვევა.** „უყურე უნამუსოთა, ჩემ ოჯახს როგორ ქელავენ! ჩაიგდეს ჩემი კაცობა, ფეხქვეშ ტყლაპსავით სთელავენ".

— „რას სჩადი? — შემოუძახა:
ვის სტუმარს ბოჭავთ თოკითა?
რათ სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა,
თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?
ჩემს რჯულსა ვფიცავ, სისხლს დავღვრი,
განანებ ბრიყულ ქცევასა,
განანებთ, თუმცა ძმანი ხართ,
ჩემი კაცობის ქელვასა!"

ჯოყოლას პირით აქ, ძველი, ზნეობრივად მაღალი თემი ჰოაღადებს; იგი კვნესით და სინანულით, გულმოსული ახალი თემის უღირს საქციელზე, დასტირის აწ უკვე დაკარგულ მაღალ მორალს, რომლის **საყოველთაობა** მაჰმადიანობის ვიწრო ჩარჩოში ჩაიკეტა და თავისი **ზოგადობა** განკერძოებულ ნაწილებად აქცია; იგი მოსთქვამდა მთლიან, თავისთავადობასა და დამოუკიდებლობას მოკლებულ ადამიანზე, რომელიც სარწმუნოებამ მუხლზე მხოხავ, მონურად მორჩილ არსებად აქცია.

რა პასუხს აძლევს მართლმორწმუნე მაჰმადიანური თემი ჯოყოლას ზნეობრივ კითხვას? ისე, როგორც კანონის თვითეულ დამრღვევს გააჩნია თავისებური პასუხი თავის უკანონო მოქმედებაზე, მოძალადე თემმაც იპოვა გარკვეული საფუძველი ამორალურ მოქმედების გასამართლებლად.

„შენ და შენს სტუმარს, ორივეს
ერთად გადგისვრით ბექითა,
თემს რაც სწადიან, მას იზამს
თავის თემობის წესითა".

უკანასკნელი სიტყვები თემის უპირველესობასა და უმწეობას უფრო ამტკიცებს, ვიდრე მის ძლიერებას. რაკი სტუმარ-მასპინძლობა, როგორც წესი, ასეული საუკუნეების გრძელ მანძილზე განმტკიცებული ადათია, რომელიც უძველესმა თემმა მიიღო, როგორც სამღვთო და ხელშეუხებელი კანონი, მაჰმადიანურ თემს არ შეეძლო (არც ამის მორალური უფლება ჰქონდა) ხელის ერთი დაკვრით უარეყო იგი. „თემს რაც სწადიან მას იზამს, თავის თემობის წესითა", მაგრამ თემობის წესი სრულიადაც არ მოითხოვდა სურვილების მიხედვით სტუმარ-მასპინძლობის ადათის უარყოფას. ჩვენ გვჯერა, რომ ძველი თემი მტკიცე კრისტალი კი არ იყო, არამედ მუდმივ გარდაქმნის პროცესში მყოფ ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენდა. ამიტომ თემის ადათები ისტორიის გარკვეულ ეტაპზე იცვლებოდა ისტორიული აუცილებლობის (და არა თემის სურვილის) კანონის ძალით. მაგრამ ისტორიული აუცილებლობა სრულიადაც არ მოითხოვდა ჯოყოლას თანამემამულეებისაგან სტუმარ-მასპინძლობის ზნეობრივი წესის უარყოფას. რა თქმა უნდა თემი თვით მიხვდა, რომ ზვიადაურის წინააღმდეგ მიმართული ბრალდების არგუმენტი ვერ იმოქმედებდა ჯოყოლას სულზე. ამიტომ თემმ ცდილობს ზვიადაურისადმი მიმართულ ბრალდების ახალ არგუმენტაციას:

„თვით ამან მოჰკლა შენი ძმა
არყიანებში თოფითა,
ჩვენ ვიცნობთ მაგის სახესა,
გადალესულსა ცოფითა.
„გახლავართ ზვიადაური!"
ჩამოგვკიოდა გორითა;
სულ კარგად ვიცით, ცხადადა,
თვალს ვადევნებდით შორითა.
ავსო ფშავ-ხევსურეთი
აქით წასხმულის ძროხითა.
თავს რათ იმურტლავ, ბეჩავო,
გაუმაძღარის ღორითა?
გული როგორ არ გელევა
მაგასთან ჯდომა-ყოფნითა".

მაგრამ ეს არგუმენტიც უძლური აღმოჩნდა თემის უკანონო მოქმედების გასამართლებლად. ჯოყოლას პასუხი ერთხელ კიდევ ბრწყინვალედ ადასტურებს ამ ფაქტს.

„—ეგ მართალია, იქნება...
რა უნდა მითხრათ მაგითა,
მით�ვერ მიაბამთ ჩემ გულსა
თქვენს გულისთქმასთან ძაფითა.
დღეს სტუმარია ეგ ჩემი,
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა
მითაც მე ვერ ვუღალატებ
ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა.
მე გთხოვ გაუშვა, მუსაო,
ნუ სტანჯავ უდიერადა,
რაცა გასცდება ჩემ ოჯახს
იქ მოეპყარით ავადა.
ვის გაუყიდავ სტუმარი?

* * * * * * * *

რა დავაშავე ისეთი,
რომ მომიხედით კარადა?
თვის რჯული დაგვიწყებიათ,
მიტომ იქცევრთ მცდარადა".

მართლმორწმუნე მაჰმადიანურმა თემმა თავისი კაპრიზი შეასრულა; მან არ გაუწია ელემენტარული ანგარიში არც სტუმრის ხელშეუხებლობას და არც ჯოყოლას ოჯახის შეურაცყოფას. ზვიადაური შებოჭეს და ზვარაკივით სათემო სასაფლაოზე მიიყვანეს დასაკლავად. ამ ეტაპიდან იწყება კოლიზიის ტრაგიკული გაშლა; აქედანვე იწყება განთქმული ზვიადაურის სულიერი დრამა. ამ მომენტში ვაჟა-ფშაველა, ანტიკური ოსტატების მსგავსად, ერთდაიმავე დროს პლასტიურ ფერებში გვაჩვენებს თავისთავადი, მთლიანი და დამოუკიდებელი სულის მქონე გმირის სრულყოფასა და ამ სულის გამოვლინების ადეკვატურ მხატვრულ ფორმას. მთელი სიდიადე ვაჟასი იმაშია, რომ იგი ყოველთვის მომქმედი გმირის შინაგანი ბუნებიდან გამოდის და ძალდაუტანებლად ახერხებს ნაწარმოებში დასმულ პრობლემისა და მის მიერ შექმნილ ადამიანის სულის ჰარმონიულ შეხამებას. შეხედეთ ზვიადაურს! რა დიდი ადამიანური რწმენაა მის ფიზიკურ აღნაგობაში განსხეულებული; **ცალ მუხლზე დამხობილს ყელზე მტრის ხანჯალი აქვს დაბჯენილი, მაგრამ ამას არ დაუკარგავს ძალისა [illegible] და საკუთარი [illegible] ღირსება.**

ვაჟას მახვილი მხატვრული თვალისათვის შეუმჩნეველი არ რჩება ზვიადაურის მოღრუბლული სახე, მაგრამ ეს არ იყო შიშისაგან გამოწვეული გრძნობის შედეგი:

„რას ამბობს ზვიადაური?
სახე რადა აქვს მტკნარია?
ბოლმა მიტომ ჭკლავს ვაჟკაცსა,
რომ ხელთ არა აქვს ხმალია.
„ჩამიგდეთ ხელში ძაღლებო,
კარგი დაგიდგათ დარია.
ამას ამბობდა დინჯადა,
სხვა არას მოუბარია".

გარდაუვალ აუცილებლობას ზვიადაური ბრძოლას უცხადებს ისეთივე ვნებიანობით, როგორც ანტიკური გმირები ბედისწერას. „ნუ იტანჯები დარლაო, ნუ შეიწუხებ თავსაო, მოვსდექით შენი მოძმენი, შენი სამარის ქარსაო, მსხვერპლსაცა გწირავთ იხარე, არ გაჭმევთ მტრისა ჯავრსაო", —„ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა! ვაჟკაცი ილებს ხმასაო, ბეწვს ომლის ბრაზმორეული, როგორაც ვეფხვი თმასაო. საკირის ცეცხლი ედება სამსხვერპლოს გულისთქმასაო. რა მოსდრეკს წარბ-დაღრუბლულსა, ქედ-ჩაჟანგებულ მთასაო! აქცევენ ზვიადაურსა, ყელში აბჯენენ ხმალსაო: დარლასამც შაეწირები", ყველა დასძახის მასაო.—„ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა", უპასუხებდა ხალხსაო. არ იდრიკება ვაჟკაცი, არ შაიხრიდა წარბსაო. გაოცდნენ ქისტი შვილები, ხალხი დგებოდა კალხსაო. „ლამის რომ არ შაეწიროს, ერთი უყურეთ ძაღლსაო. ჰყვირიან, თანაც ნელნელა ყელში ურჭობენ ხმალსაო. „ძაღლ იყოს" — ყელში ამბობდა, მანამ მოსჭრიდნენ თავსაო"...

„სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის,
ზვიადაური კვდებოდა,
გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,
გული გულადვე რჩებოდა".

ვაჟას ზვიადაურმა თვით უკიდურეს, ტრაგიკულ წუთებშიაც კი შეინარჩუნა სულის ნათელი სიმშვიდე და ბოლომდე ერთგული დარჩა საკუთარი თავისადმი. **გარდაუვალმა აუცილებლობამ მას სიცოცხლე მოუსპო, მაგრამ თავისუფლება კი ვერ წაართვა.**

ამრიგად მაჰმადიანურმა თემმა ვერ მიაღწია მიზანს, რომლისათვისაც მან ხელის ერთი დაკვრით დაარღვია სტუმარ-მასპინძლობის სათემოდ მიღებული საღვთო წესი. ზვიადაური არ შეეწირა დარლას, რადგანაც სამსხვერპლოზე მოკვდა, როგორც გმირი; გმირი კი საქართველოში მონად არ გამოდგებოდა.

ვაჟა-ფშაველას ეთიკური თვალსაზრისი, როგორც თვით პოემის სულიდან ჩანს, თანგრძნობით არის განწყობილი ზვიადაურისა და ჯოყოლა-სადმი, მაგრამ არა იმიტომ, რომ ისინი თემობის ტრადიციებს არღვევენ, (ასე ფიქრობდნენ დღემდე ვაჟას მკვლევარები), არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ორი ადამიანის ქცევაში, ისე, როგორც ალუდა ქეთელაურის მოქმედებაში, ვაჟა ხედავს უძველესი თემის სულის გაცოცხლებას, მის მორალურ სიმაღლესა და ადამიანურ ძლიერებას.

მაგრამ ნურვინ იფიქრებს, თითქოს ვაჟა მომრიგებელ-მოსამართლის როლს ასრულებდეს და ორ მოსისხლე მტერთა შორის ჰარმონიულ ზავს ამყარებდეს. ვაჟა-ფშაველა მაჰმადიანურ თემს იმაში კი არ სდებს ბრალს, რომ მან თავისი დაუძინებელი მტერი — ზვიადაური მოჰკლა, არამედ მხოლოდ იმაში, რომ თემმა დაარღვია სტუმარ-მასპინძლობის საუკუნეების გრძელ პანძილზე გამტკიცებული წესი. ბოლოს თემი თვით მიხვდა საკუთარ დანაშაულს და სასაფლაოდან დაბრუნებული ფიქრობდა, რომ „ცოდვა" ჩაიდინა. „კარგი ვაჟკაცი ყოფილა, ყველა ალახსა ჰფიცავდა" მაგრამ ვაჟა იქვე იხსენებს თავის უნივერსალურ ეთიკურ კანონს, რომ **სიკვდილი თითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა:**

„მაგრამ მტერს მტრულად მოეჭე,
თვითონ უფალმა ბრძანაო".

ზვიადაური, როგორც მტერი მაჰმადიანური თემისა, მტრისავე ხელით ყელგამოღადრული, ვაჟკაცურად დაეცა სამსხვერპლოზე. გმირის ამგვარი სიკვდილი ვაჟას სულში სიბრალულს კი არ იწვევს, არამედ ადამიანურ სიამაყეს და ეროვნულ სიხარულს:

„სიკვდილსა — გლოვა უხდება,
მკვდარ ძმას — ტირილი დისაო,
ტყესა — ხარ-ირმის ნაფრენი,
ზოგ დროს ღმუილი მგლისაო.
ვაჟკაცსა — ომში სიკვდილი
ხელში — ნატეხი ხმლისაო,
ომს — ლხინი გამარჯვებულთა
და დამარცხება მტრისაო!".

(დასასრული იქნება)

(„ლიტ. და ხელოვნ." გვ. ...)

ალექსანდრე ჟუთათელი

ლანაბარები

ღამით დაგვესხა ქურდულად
ძტრის ურდო კაცისჭაბია.
ყაჩაღთა მესაიდუმლე
შავი და ბნელი ღამეა.
მოულოდნელად დაბომბა
დაბა, ქალაქი, სოფელი,
ქალსა და ბავშვსაც ხოცავდა
კაცობის უარმყოფელი.
ჯავშან-მახანით ვეკვეთეთ,
ქვემეხს გავაძრეთ პერანგი
და სასტიკ ბრძოლის ხანძარში
მყის გავახვიეთ ვერაგი.
ვით ხალხის რისხვა, ქუხილი
და გაფრენილი მერანი,
ცაში გაისმა შევარდნის
ფოლადის ფრთათა თქერანი.
სიკვდილს მტრის ტანზე სამოსლად
ტყვიის მახათით ვკერავდით
და მაინც ურიცხვ დანაკლისს
არ დაეძებდა ვერაგი.
თუმცა ათასობით გავეკლიტეთ,
განვლო ვოლგამდე საზღვარი
და კავკასიონს აძგერა
დინგი დაჭრილი, საზარი.
ხადირს ეგონა: ხელთ ჰქონდა
ქართლის მთაბარი ნაქები,
ბაქოს ნავთი და ქარხნები
ხალხის ხელებით ნაგები.
ციდან ვით ძერა ზვერავდა,
მოსწონდა ტურფა ალაგი,
ქართლი ბაღივით გაშლილი
და მისი დედაქალაქი.
გმირის ამაგით ნაგები,
ნაქები, მარად ქებული,
დამწუხრებულა თბილისი
საფრთხის წინ გაყუჩებული.
მაშინ მოფრინდა შხუილით
მისი მანქანა ნახატრი
და მთათა კალთებს გაეკრა
არწივის ფრთათა ნავარდი.
გმირს მიეგება მისივე
ხელით გაწრთვნილი კრებული,
სამშობლოს შველის იმედით
შეკრული, გამაგრებული.

* * *

ს გამოგზავნა სტალინმა
და ახლა თბილისს უცქერდა.
ვით სიტყვას ბასრი გონება, —
თვალები ელვას უსწრებდა.
ქალაქში იდგა საღამო,
მზე მთაზე დაშუბებული,
ნარიყალა და მეტეხი,
სიონი გაშუქებული.
თითქო მთაწმინდა კვნესოდა,
სწუხდნენ კრწანისის ველები,
შარავანდედით მოსილნი
იძახდნენ არაგველები:
„თბილისის კართან დავეცით
ყველა სამასი მებრძოლი,
მაგრამ ჩვენს ღია თვალებსა
ვერ ეკარება ქვემძრომი!"
ბაგე უხრწნელი ღაღადებს:
„მგზავრო, ქართველებს უამბე,
რომ ტკბილ მამულის დაცვაზე
ვერას ჰპო

„ᲩᲘᲚᲓᲘᲚᲘ“

საქ. სს რესპ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი კომპოზიტორ გრ. კოკელაძის ხელმძღვანელობით. მეჩონგურე ქალები მ. ბაგრატიონი, მ. წეროძე და მ. ნანეიშვილი უკრავენ ქართულ ჩანგზე.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲒᲝᲠᲨᲘ

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა 21 დეკემბერს გორის სახელმწიფო თეატრში მოაწყო დიდი ლიტერატურული საღამო.

საღამოში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან გორში ჩავიდნენ მწერლები: სიმონ ჩიქოვანი, გიორგი ლეონიძე, ლეო ქიაჩელი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ჯიბლაძე, გრიგოლ აბაშიძე, რაჟდენ გვეტაძე, კარლო კალაძე, დიმიტრი ბენაშვილი, სანდრო ეული, იაკინთე ლისაშვილი, დავით კასრაძე, დავით სულიაშვილი, გიორგი შატბერაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი, ნიკოლოზ ჩაჩავა.

საზეიმოდ მორთული თეატრის დარბაზი სავსე იყო ხალხით. მწერლების გარდა საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ვ. ცხოვრებაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი გ. მიხანაშვილი და დიდი სტალინის სიყრმის მეგობრები: პეტრე კაპანაძე, გრიგოლ გლურჯიძე, ა. ციხითათრიშვილი და სხვ.

საღამო ვრცელი შესავალი სიტყვით გახსნა საქ. სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ვასო ეგნატაშვილმა, რომელმაც ილაპარაკა დიდი ბელადის ცხოვრებაზე, მის დაუღალავ ზრუნვაზე საბჭოთა კავშირის ხალხთა სამეფურნეო და კულტურული ცხოვრების აყვავებისათვის. ეგნატაშვილმა ილაპარაკა სტალინის ბრძნული მზედარმომთავრული ხელმძღვანელობით მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებებზე ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ეგნატაშვილის ბოლო სიტყვებს — „ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს დიდი სტალინი“ — დამსწრენი მქუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ქართველმა საბჭოთა პოეტებმა შეჰქმნეს მრავალი შესანიშნავი ლექსი და პოემა, რომლებშიც აღბეჭდილია ბრძენი ბელადის უდიდესი ღვაწლი ჩვენი ხალხის ცხოვრების განახლებისათვის. დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ლენინ-სტალინის პარტიამ აიაძოთა კავშირის ხალხები აღზარდა ურყევი მეგობრობის სულისკვეთებით, განამტკიცა თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება.

ქართველი პოეტები დაუცხრომლად უმღერენ სტალინის მიერ შექმნილ თავისუფალ და დემოკრატიულ ცხოვრებას, ისინი უდიდესი უშუალობითა და ღრმა გულწრფელობით ჰქმნიან სიმღერებს საყვარელ ბელადზე.

ამ თემაზე („სტალინის სახე ქართულ პოეზიაში“) მოხსენებით გამოვიდა ამხ. გიორგი ჯიბლაძე.

ამხ. დ. ბენაშვილმა თავის სიტყვაში ილაპარაკა ახალ ხალხურ შემოქმედებაზე. მან მოიყვანა ხალხური პოეზიის ნიმუშები, რომლებიც გამსჭვალულია ქართველი ხალხის უღრმესი სიყვარულით დიდი ბელადისადმი.

ორდენოსანმა მწერალმა სანდრო შანშიაშვილმა ილაპარაკა სტალინზე, როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა ამეფურნეო და კულტურული ცხოვრების ამაღორძინებელზე, დიდ მასწავლებელზე და ბელადზე. შანშიაშვილის სიტყვის შემდეგ მოგონებით გამოვიდა დიდი სტალინის სიყრმის მეგობარი პეტრე კაპანაძე.

სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები და მოთხრობები წაიკითხეს: ლეო ქიაჩელმა, ირაკლი აბაშიძემ, დავით სულიაშვილმა, სიმონ ჩიქოვანმა, დავით კასრაძემ, გრიგოლ აბაშიძემ, იაკინთე ლისაშვილმა, კონსტანტინე ჭიჭინაძემ, გიორგი ლეონიძემ, გიორგი შატბერაშვილმა, კარლო კალაძემ, იოსებ გრიშაშვილმა, რაჟდენ გვეტაძემ, მაყვალა მრევლიშვილმა.

ბოლოს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის მსახიობებმა და გორის მომღერალთა თვითმოქმედმა გუნდმა ვ. წერეთლის ხელმძღვანელობით.

ᲚᲐᲓᲝ ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ“

ძმები ტურის და შეინინის შემოქმედებითი პიესა „ჭიდილი“, რომელიც [illegible] მეორე პრემიერად უჩვენა მაყურებელს ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა, ფრიად საინტერესო დრამატიული ნაწარმოებია. პიესა გვიჩვენებს წითელი არმიის მამაცობას, მის სახელოვან ბრძოლებს, ომის ვითარებაში სამხედრო იარაღის გაუმჯობესებას, ტექნიკური ინტელიგენციის შეუნელებელ ზრუნვას ფრონტის შეიარაღების გაძლიერებისათვის, შინაგანი დაცვის ორგანოების საზრისიან ოპერატიულ მუშაობას. ბუნებრივია ყველა ამ თვისების გამო ძმები ტურისა და შეინინის პიესა „ჭიდილი“ ჩვენ ხალხის უგულითადეს ფიქრებსა და გრძნობებს დროულად ეხმაურება და რაზმავს ზურგის ადამიანებს ფრონტისადმი გაძლიერებული დახმარებისათვის.

ავტორებმა ამავე დროს გვიჩვენეს ფაშისტური დაზვერვის აგენტების სახეები, მათი ბნელი საქმიანობა, ათასგვარი ხრიკები და ცდები, რათა ცოცხლად ხელში ჩაეგდოთ საბჭოთა ინჟინერ-გამომგონებელი, რომელიც ცენტრალურ ფრონტზე მიემგზავრება თავისი გამოგონების — „ელ-2“ ტანკის საბრძოლო თვისებათა შესამოწმებლად. ეს პიესა — ამაღელვებელი მოთხრობაა ჩვენი დაზვერვის მამაცობისა და მოხერხებული საქმიანობის შესახებ. ორთა ბრძოლაში—ჭიდილში ბრწყინვალედ გაიმარჯვა საბჭოთა დაზვერვამ.

პიესა დასდგეს საქ. სსრ სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ და რეჟ. ს. ოყურეშიძემ, რომლებმაც სწორად, მკაფიოდ და დამაჯერებლად ახსნეს პიესის შინაარსი, ღრმად ჩასწვდნენ ავტორთა მიერ შექმნილ სიტუაციების დედააზრს. განსაკუთრებით საინტერესოდაა დადგმული სცენა სასტუმროში, მეორე მოქმედების მთელი რიგი სცენები და საფინალო სურათი. სისადავე და გამართულობა დამახასიათებელია მთელი სპექტაკლისათვის.

ინჟინერ-კონსტრუქტორ ლეონტიევის როლს ასრულებს. ვ. მეგრელიშვილი. მსახიობი დინჯად და მოფიქრებულად ანსახიერებს ინჟინრის როლს. იგი ტიპიური წარმომადგენელია ამ ტექნიკური ინტელიგენციისა, რომელიც ვაბედულად მიდის ნოვატორობის გზით. კ. მეგრელიშვილის ლეონტიევი დაკვირვებული, ოუჩქარებელი და სულით მამაცი პატრიოტია; მსახიობმა გულწრფელად გამოხატა მოაზროვნე ინტელიგენტის თავდადება სამშობლოსათვის. იგი ამაყობს, რომ მისი გონების ნაყოფი — „ელ-2“ რისხვად მოევლინა გერმანელთა ჯარებს.

მსახ. შ. პირველი ბუნებრივობით და უშუალობით ანსახიერებს სახელმწიფო უშიშროების კომისრის ზორინის ძნელ როლს. მსახიობმა განგვაცდევინა უბრალოებით, შინაგანი რწმენით აღსავსე ადამიანის მომხიბვლელობა, სიყვარული მინდობილი საქმისადმი და საზრიანობა, რაც დამახასიათებელია საბჭოთა დაზვერვის მუშაკისათვის. მშვენიერია მსახიობის ხმის ტემბრი, გარეგნობა და თავის დაჭერა.

სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი ბახმეტიევი იშვიათი მოხერხებით, წინდახედულობით ასრულებს უაღრესად მძიმე და სახიფათო დავალებას. ამ როლს კარგი შემსრულებელი აღმოაჩნდა მსახ. შ. ქელბაქიანის სახით. მსახიობმა სწორად მიაგნო ბახმეტიევის სულის ხვეულებს, გაიგო მისი ხასიათის ის მთავარი თვისებები რითაც ცოცხლობს და იმარჯვებს ორთაბრძოლაში ეს უშიშარი მზვერავი.

ტ. საყვარელიძის არტილერიის პოლკოვნიკი სვირიდოვი კარგი იყო. მაგრამ მსახიობმა როლზე მუშაობა დასრულებულად არ უნდა მიიჩნიოს. ზოგან იგ: ზედმეტად ოფიციალურ ტონს მომართავს, მიხვრა-მოხვრაც ნაძალადევ და არაბუნებრივი გამოუდის. ამასთან ყოველთვის ერთნაირად განიცდის სხვადასხვა მდგომარეობას.

უდავოდ ნიჭიერი მსახიობი შეემატა ჩვენი თეატრის კოლექტივს გ. ჯაბუტაშვილის სახით. მან მოსაწონი გულწრფელობით განასახიერა ავიაციის გენერალ-მაიორის ზვონცოვის როლი. პიესის ავტორებმა ზვონცოვი საკომანდო პუნქტზე მუშაობისას გვიჩვენეს. აქ გ. ჯაბუტაშვილმა გამოავლინა თავისი შესაძლებლობა, როგორც ნიჭიერმა ახალგაზრდა მსახიობმა. ჩვენი თეატრის ორმა ახალგაზრდა მსახიობმა ი. ჯინჯიხაძემ (სვირიდოვის ადიუტანტი) და ლ. გოდუაძემ (უშიშროების ლეიტენანტი) გვიჩვენეს კარგი სცენური თვისებები — უშუალობა და როლის ბუნებრივ ტონებში გადმოცემა.

გერმანული დაზვერვის პოლკოვნიკის კრაშკეს როლში გამოვიდა საქ. სსრ დამს. არტისტი შ. ხონელი. მსახიობმა ამ როლს მოუძებნა ბუნებრივი შტრიხები და გვიჩვენა ჰიტლერელი ავანტიურისტის ფიგურა.

პიესის მახედვით პეტრონესკუ ფაშისტური დაზვერვის ძველი გაიძვერა თხუნელაა, რომელიც ათასგვარ ოინებს ხმარობს ლეონტიევის ხელში ჩასაგდებად. ფაქტიურად ორთაბრძოლა პეტრონესკუსა და ბახმეტიევის შორის იმართება. ჭიდილში იმარჯვებს ბახმეტიევი. პეტრონესკუს როლი შეასრულა დ. ქუთათელაძემ. არ შეიძლება დავეთანხმოთ მსახიობს პეტრონესკუს სახის ინტერპრეტაციაში. დ. ქუთათელაძის მიერ განსახიერებული პეტრონესკუს გარეგნული ქცევები ხელოვნურია. თვით პეტრონესკუ რამდენჯერმე იმეორებს, რომ იგი გამოცდილი აგენტია. ასეთად კი ქუთათელაძის პეტრონესკუ ვერ გამოდგება. მსახიობის დიქციაში, ჟესტსა და მიმიკაში სრულიადაც არ იგრძნობა სცენისათვის აუცილებელი უბრალოება და თავდაჭერა. გარდა ამისა დამაჯერებელი არ არის ლაპარაკის ტონიც. ამ როლს ჯერ კიდევ დამუშავება ესაჭიროება. ახალგაზრდა მსახიობი უნდა შეებრძოლოს რუტინასა და სიყალბეს სახის გამოკვეთისას. ამის გარეშე ზრდა ყოველად შეუძლებელია.

მსახიობ მ. გელაშვილის ოსენინა ახალ ეტაპს არ წარმოადგენს მისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ეს როლი ბევრ შესაძლებლობას აძლევდა მსახიობს სცენიური კულტურის გამოვლინებისათვის. ბევრჯერ აღვნიშნავს, რომ მ. გელაშვილს ფრაზის წარმოთქმისას ბევრი სიტყვა, ჩქარი ლაპარაკის გამო, ეკარგება. ეს მოვლენა ამ სპექტაკლშიც განმეორდა. ამასთან, მისი ოსენინა, სამშუბაროდ, გვაგონებს მსახიობის მიერ შექმნილ სახეებს სხვა პიესებში. მსახიობს უნდა შეეძლოს როლისთვის დამახასიათებელი ნიუანსების მოძებნა, „სხვადყოფნა“. ამის შესაძლებლობა მას უდავოდ აქვს.

სპექტაკლის გაფორმება ეკუთვნის მხატვარ ს. ნადარაიშვილს, დეკორაციებში მკაფიოდ იგრძნობა ფერთა შეწყობა, ყველაფერი თითქოს ომის სურნელებით სუნთქავს. გემოვნებით არის შესრულებული სასტუმროს სცენა, ფრონტის წინახაზი და მეორე მოქმედების ორივე სურათი. მაყურებელზე წარმატება მოიპოვა ბელადარიას ტყვეებს რუსეთის ტყე, ვრცელი მინდორი, ცამდე აწვდილი ნაძვნარი.

პროფ. კ. მეღვინეთ-უხუცესის მუსიკას ცხოველმყოფლობა შეაქვს სპექტაკლში. იგი ეხმარება მაყურებელს მკვეთრად აითვისოს პიესის ძირითადი მომენტები.

საერთოდ „ჭიდილი“ ჩვენი თეატრის კოლექტივის მორიგი გამარჯვების მაჩვენებელია.

ბ. სამხარაძე

ᲚᲕᲝᲕᲔᲚ ᲛᲮᲐᲖᲕᲐᲠᲗᲐ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ქ. ლვოვში გაიხსნა ლვოველ მხატვართა და სკულპტორთა ნამუშევრების გამოფენა. სამდიდ დარბაზში გამოფენილია სამასამდე ფერწერითი, გრაფიკული და სკულპტურული ნაწარმოებები.

ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლებული ქალაქის მხატვრებსა და სკულპტორებს თავიანთ ნაწარმოებთა უმრავლესობა მიეძღვნილი აქვთ სამამულო ომისა, ფაშისტებისაგან ქალაქის გაწმენდის და სახალხო მეურნეობის აღორძინებისადმი. გამოფენა დიდ ინტერესს იწვევს ლვოველ მშრომელთა შორის.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

აზერბაიჯანული მუსიკის კამერული კონცერტი. აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. ჰაჯიბაბეკოვი ასრულებს შ. ახუნდოვას სიმღერას „სტალინს“.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲞᲝᲔᲢᲘ-ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲘ

ᲕᲚ. ᲝᲠᲚᲝᲕᲘ — „ᲓᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘ“. „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ“ 1944 ᲬᲚᲘ.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რვა სამხედრო კამპანიის მონაწილე, პოეტი და სამხედრო ისტორიკოსი დენის დავიდოვი რუსეთის არმიის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელია.

დენის დავიდოვი დაიბადა 1784 წელს, მოსკოვში. ის პატარაობიდანვე სამხედრო წრეში იზრდებოდა. დავიდოვმა თავისი სამხედრო ნიჭი განსაკუთრებით 1812 წლის სამამულო ომში გამოიჩინა. მან პირველმა მიაქცია რუსეთის უმაღლესი სარდლობის ყურადღება იმას, თუ რა დიდი საოგებლობის მოტანა შეეძლო პარტიზანულ ბრძოლას ნაპოლეონის არმიების ზურგში.

დენის დავიდოვის სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლა ცნობილია; ხალხს ახსოვს იგი, როგორც უშიშარი მხედარი და ჭეშმარიტი პატრიოტი, რომელიც ყოველთვის ერთგულად იბრძოდა თავის ხალხისა და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

1812 წელს, პირველი სამამულო ომის დროს ხალხის სტიქიურმა პატრიოტულმა აღტყინებამ უკარნახა დენის დავიდოვს „პარტიზანულ მოქმედებათა ვეგმა“. დავიდოვი ჯერ პატარა პარტიზანულ რაზმს ჩაუდგა სათავეში, ნაპოლეონის ჯარების ზურგში მოექცა და სამშობლოს მტრებს გმირულად ებრძოდა. აგვისტოს მეორე ნახევარში დავიდოვმა წერილი გაუგზავნა ბაგრატიონს, შემდეგ პირადად ეახლა და თავისი გეგმა გააცნო. დავიდოვი ყოველნაირად არწმუნებდა ბაგრატიონს პარტიზანული ომის სარგებლობაში.

„მოწინააღმდეგე ერთი გზით მოდის, — ამბობდა იგი — ეს გზა ძალიან გრძელია. სურსათით დატვირთულმა მტრის ტრანსპორტმა უნდა გაიაროს გზა გჟატსკიდან სმოლენსკამდე და კიდევ იქით. ჩვენ მფრინავი პარტიზანული რაზმები უნდა შეექმნათ და ნაპოლეონის უკან მომავალ ქარავნის ზუა-გულში შეუშვათ... მათ საკმაო სივრცე ექნებათ, რათა დამარცხება თავიდან აიცილონ. ისინი მტრის არმიის სასიცოცხლო-საარსებო წყაროს მოსპობენ. საიდან მიიღებს იგი ტყვიაწამალს და საკვებს?... იმასთანავე ჩვენი ჯარი ომისაგან დაფანტულ მოსახლეობაში ისევ რომ გამოჩნდება, მათ გაამხნევებს და ახლანდელ ომს სახალხო ომად აქცევს“.

დავიდოვის გეგმები ბაგრატიონმა მოიწონა. კუტუზოვიც დასთანხმდა „სასინჯად“ საფრანგეთის ჯარის ზურგში სამოქმედოდ პარტიზანთა სახით 50 ჰუსარისა და 80 კაზაკისაგან შემდგარი რაზმი გამოეყოთ.

პარტიზანული ბრძოლის დაწყების ორი თვის შემდეგ კუტუზოვმა დენის დავიდოვს მადლობა გამოუცხადა და უთხრა: „გამართლებულმა შენმა ცდებმა დამიმტკიცეს პარტიზანული ომის სარგებლობა, მან მტერს დიდი ზიანი მიაყენა, აყენებს და კვლავ მიაყენებს“.

დენის დავიდოვი კიდევ უფრო გაბედულად ურტყამდა პარტიზანებით ზურგში ნაპოლეონის არმიას. ის იყო პარტიზანული ომის არა მარტო ინიციატორი, არამედ მისი პირველი თეორეტიკოსიც რუსეთში. თავისი შეხედულება ასეთი ომის შესახებ მან გამოსთქვა ნაწარმოებში „პარტიზანულ მოქმედებათა თეორიის ცდა რუსეთის ჯარებისათვის“, სადაც ავტორი იმ აზრს ანვითარებს, რომ პარტიზანული ომი მტერს უთხრის საარსებო ფესვებს, ართმევს საკვებს, აბრკოლებს მის უკან დახევას და ქანცავს მას.

დენის დავიდოვს იცნობდნენ არა მარტო რუსეთში. ინგლისელ მწერალს ვალტერ სკოტს კაბინეტში ეკიდა დავიდოვის სურათი. ვალტერ სკოტი მას უწოდებდა „ადამიანს, რომლის გმირობა მამულისათვის უდიდესი საფრთხის წუთებში ჭეშმარიტად გაკვირვების ღირსია“.

ომის მომდევნო წლებში დავიდოვის ლიტერატურული სახელიც საბოლოოდ დამკვიდრდა, მოხუცებულობაში შესული დენის დავიდოვი სოფლის მყუდროებაში ჩაიკეტა და ლიტერატურულ შრომას მიეცა. სწერდა სამხედრო-მეცნიერულ ნარკვევებს, ლექსებს, პარტიზანულ მოქმედებათა დღიურებს. მისი ღირსშესანიშნავი ლექსები აღსავსე იყო სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულის გრძნობით.

დიდი პუშკინი დავიდოვს „მომღერალს და გმირს“, თავის „მამას და მეთაურს“ უწოდებდა, ბარიატინსკი — „მომღერალ ცხენოსანს, რომლის სახელით პოეტები და მეომრები სამართლიანად თავს იწონებდნენ“. გრიბოედოვი ამბობდა: სხვას არავის „არ აქვს ასეთი გადარეული და ჭკვიანი თავი როგორც დავიდოვსო, ყველა მძინარა მელანქოლიკი მისი ჩიბუხის ნამწვავადაც არ ღირსო“.

დენის დავიდოვი გარდაიცვალა 1839 წელს 22 აპრილს.

100 წელზე მეტია, რაც დენის დავიდოვმა ღრმა და ბრწყინვალე აზრი გამოსთქვა დიდი რუსეთის ძლიერებაზე, მის შვილთა თავდადებულ გმირობაზე და მტრის იმ უბადრუკ ბედზე, რომელიც მას არ ასცდება, თუ კი გაბედავს ჩვენი დიადი სამშობლოს ხელყოფას.

„ჩვენი დედა რუსეთი უზარმაზარია. მის საშუალებათა სიუხვე ძვირად უღირს ბევრ ხალხს, რომლებმაც მის ღირსებასა და არსებობას ხელი წაუპოტინეს, მაგრამ მათ არ იციან ჯერ კიდევ ლვის ყველა ფენა, რომლებიც მის წიაღში მდებარეობენ... ჯერ კიდევ რუსეთი მთელი თავისი გოლიათური ტანით არ წამომდგარა და ვაი მის მტრებს, როდესაც აღიმართება“.

დღეს სამამულო ომის მრისხანე დღეებში, როდესაც საბჭოთა **კავშირის ხალხები** დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბოლოოდ ანადგურებენ მთელი კაცობრიობის უბოროტეს მტერს — გერმანულ ფაშიზმს, დიდი რუსი პატრიოტისა და გულადი მეომრის ამ წინასწარმეტყველურმა სიტყვებმა ბრწყინვალე დადასტურება ჰპოვეს. დენის დავიდოვის პარტიზანული ტრადიციები კვლავ აღდგნენ იმ საბჭოთა პარტიზანების საგმირო საქმეებში, რომლებიც გერმანელ ფაშისტ ბარბაროსებს ანადგურებდნენ იმ ადგილებში სადაც ოდესღაც დავიდოვის პარტიზანები სდევნიდნენ და ჟლეტდნენ მტერს.

დენის დავიდოვის ტრადიციის ღირსეული გამგრძობი აღმოჩნდნენ საბჭოთა მწერლები, რომელნიც თავის ხალხთან ერთად კალმით და იარაღით აღსდგნენ შემოსეული მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საოეცენზიო წიგნში მოკლედ და ცოცხლად მოთხრობილია დენის დავიდოვის ცხოვრებისა და ბრძოლის ამბები. წიგნი თარგმნილია რუსულიდან ირ. ქავჯარაიძის მიერ.

ვ. გავაშელაშვილი

ᲛᲝᲚᲐ-ᲜᲐᲡᲠᲔᲓᲘᲜᲘ

ᲯᲐᲚᲘᲚ ᲛᲐᲛᲔᲓ-ᲧᲣᲚᲘ-ᲖᲐᲓᲔ

საბჭოთა აზერბაიჯანი ამჟამად ფართოდ აღნიშნავს მთელს ახლო აღმოსავლეთში მოლა-ნასრედინის სახელით ცნობილ მწერლის და საზოგადო მოღვაწის ჯალილ მამედ-ყული-ზადეს დაბადების 75 წლისთავს. XX საუკუნის პირველი ნახევრის აზერბაიჯანული ლიტერატურის და საზოგადოებრივი აზრის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ამ მწერალ-დემოკრატს, რევოლუციონერს და სოციალისტს, რომელმაც შექმნა ახალი ლიტერატურული სკოლა და აღზარდა რევოლუციონერ მწერალთა და პოეტთა მთელი პლეადა.

ჯალილ მამედ-ყული-ზადე დაიბადა 1869 წელს ქ. ნახჭევანში. რუსულ-თათრული საქალაქო სკოლის დამთავრების შემდეგ ქ. გორის სამასწავლებლო სემინარიაში და დაასრულა თუ არა კურსი, დაიწყო მასწავლებლობა ს. ულუნხანლუში ერევნის ახლოს, ხოლო შემდეგ გადავიდა მასწავლებლად ს. ნეგრამში ნახჭევანს ახლოს. აქ მან იმასწავლებლა 8 წელიწადს. აქვე დასწერა პირველი ნაწარმოებები—ალეგორიული პიესა „ჩაის სერვიზი“ და დიდი მოთხრობა „სოფელ დანაბაშის ამბები“.

ჯალალ მამედ-ყული-ზადეს ფართო ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა გაიშალა თბილისში ცოტათი ადრე 1905 წლის რევოლუციამდე. თბილისში იგი დამკვიდრდა 1903 წელს, ხოლო 1906 წლიდან მან დაიწყო გამოცემა სატირიკული ჟურნალის „მოლა-ნასრედინისა“, რომელიც მალე გადაიქცა მოწინავე საზოგადოებრივი აზრის გამომხატველ ორგანოდ.

მოლა-ნასრედინი მწვავე იუმორითა და სატირით ამათრახებდა ფეოდალურ-პატრიარქალურ ურთიერთობის დამცველებს, უმეცრებისა და უვიცობის, ჩამორჩენილობისა და ფანატიზმის მოციქულებს, გვირგვინოსან და უგვირგვინო მოძალადეებს—მახუსა და სულთანებს, მემამულეებსა და კაპიტალისტებს, ისლამის გონება-დახშულ მიმდევრებსა და მქადაგებლებს. ამავე დროს იგი დიდი ჰუმანისტის გულისტკივილით ექომაგებოდა და ესარჩლებოდა უუფლებო ჰუსულმან ქალს და იბრძოდა მუსულმანი ქალის გამოყვანისათვის საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამავე დროს იგი იყო მგზნებარე დამცველი და მოამაგე რევოლუციური მოძრაობისა ახლო აღმოსავლეთში, აჯანყებულ ხალხს იგი მოუწოდებდა არ შეჩერებულიყო შუა გზაზე, ბრძოლა პოლომდე მიეყვანა, დაემხო დესპოტიზმი, გაეჩაღებინა ბრძოლა არა მარტო შინაური მონათმფლობელების, არამედ უცხოელ დამპყრობელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ.

მოლა-ნასრედინმა დიდად გააფართოვა თავისი სამოქმედო ასპარეზი, მისი ხმა გასცდა აზერბაიჯანს, მისწვდა მთელს ისლამურ მსოფლიოს. მისი შეუდრეკელი გამოსვლა გამოძახილს პოულობდა არაბეთსა და ეგვიპტეში, თურქეთსა და ირანში. მისი ხმა სწვდებოდა ინდოეთსა და ავღანისტანს.

მისი მქუხარე ხმა არ შენელებულა შავი რეაქციის ბატონობის წლებში. ამ პერიოდშიდაც იგი გამოდიოდა მოწინავე საკაცობრიო იდეალების, განათლებისა და კულტურის, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერების ქომაგად.

ჟურნალი „მოლა-ნასრედინი“, რომელიც ხანმოკლე ინტერვალებით თვით ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე გამოდიოდა, წარმოადგენს აღმოსავლეთის ნამდვილ რევოლუციურ ენციკლოპედიას, რომელიც მთელი სისრულით და სიმკვეთრით ასახავს მოწინავე საზოგადოებრივი აზრის მედგარ ბრძოლას აღმოსავლური დესპოტიის დამხობისათვის, ფეოდალური პატრიარქალური სა ფუძვლების ლიკვიდაციისათვის, ბრძოლას თავისუფლებისა და თანასწორობის იდეალებზე დაფუძნებულ ცხოვრებისათვის.

დროებით შეწყვეტილი გამოცემა ჟურნალისა 1917 წელს ისევ განახლდა და 1934 წლიდან იგი გამოდიოდა „ულმურთოს“ სახელწოდებით. ამ პერიოდში მოლა-ნასრედინი კვლავ წინანდებური თავდადებით იბრძოდა ველი ცხოვრების გადანაშენების აღმოფხვრისათვის, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის. პუბლიცისტურ მოღვაწეობასთან ერთად იგი ეწევა ფრიად აქტიურ ლიტერატურულ მხატვრულ მუშაობას. თავისი ჟურნალის გამოცემის პირველ წლებში მან დასწერა მოთხრობები „საფოსტო ყუთი“, „კონსტიტუცია ირანში“, „ყურბანალი-ბეკი“, „ზეინალის ბაგენი“ და კომედია „მომაკვდავნი“, რომელიც შევიდა აზერბაიჯანული კლასიკური დრამატურგიის ოქროს ფონდში.

როგორც თავის მოთხრობებში ისე პიესაში „მომაკვდავნი“ მოლა-ნასრედინი იცავდა იმავე იდეებს, რა იდეებისთვისაც იბრძოდა მისი ჟურნალი. ახალი, რაც მან მხატვრული პროზითა და დრამატურგიით აზერბაიჯანულ ლიტერატურაში შეიტანა,—ეს არის მწვავე სოციალური სატირა ძველ ფეოდალურ პატრიარქალურ სამყაროზე, უმეცრებასა, ჩაგვრასა და ძალადობასა, ყოყოჩობაზე და მხეცურ ეგოიზმზე. იგი დაუნდობლად გმირავს ბნელეთის სამეფოს მოციქულებს თავისი სატირის ბასრი მახვილით. იგი დასცინის მათ სიმახინჯეს ჯანსაღი და მშვენიერი კაცის სიცილით. იგი ამათრახებს ძირგამომპალი ძველი საზოგადოების არა ცალკეულ წარმომადგენლებს, არამედ მთელ ძველ საზოგადოებას მთლიანად.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოლა-ნასრედინმა, გარდა დიდი და პატარა მოთხრობებისა, დაწერა ორი პიესა „შემშლილთა კრება“ და „სოფელ დანაბაშის სკოლა“. აგრეთვე განსაკუთრებული ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობის მქონე მემუარები „ჩემი მოგონებანი“, რომლის დამთავრება მოულოდნელი სიკვდილის გამო არ დასცალდა.

მოლა ნასრედინი გარდაიცვალა ბაქოში 1932 წლის 4 იანვარს ტვინში ინსულტის ჩაქცევით.

მოლა-ნასრედინი, რომელსაც წარსულში გამანადგურებელი იერიშები მიჰქონდა ძველ დამყაყებულ სამყაროზე, თავისი უკვდავი ნაწარმოებით ეხლაც ებრძვის მეოცე საუკუნის გიჟებსა და შეშლილებს—საზიზღარ გერმანელ ფაშისტებს, რომელნიც ლამობდნენ ისტორიის ჩარხი კვლავ უკუღმა შეეტრიალებიათ, კვლავ გაეცოცხლებიათ და აღედგინათ სატირიკოსის მიერ უდიდესი ძალით მხილებული ძველი სამყარო, ლამობდნენ კვლავ ხუნდები დაედოთ თავისუფალ ხალხებისათვის და კაცობრიობა წყვდიადში გაეხვიათ.

აზერბაიჯანელი ხალხი თავის დიდი სატირიკოსის და საზოგადო მოღვაწის დაბადების 75 წლისთავს აღნიშნავს იმ დროს, როცა ძლევამოსილ წითელ არმიას, გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** წინამძღოლობით, საბოლოო გამანადგურებელი იერიში მიაქვს ფაშისტი მხეცის ბუნაგზე.

აზიზ შარიფი



ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲬᲠᲔ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ

განახლდა თბილისის მასწავლებელთა სახლთან არსებული ლიტერატურული წრის მუშაობა. წრეს ხელმძღვანელობს დამსახურებული მასწავლებელი ს. აბულაძე.

17 დეკემბერს შესდგა წრის პირველი მეცადინეობა. დამწყებმა მწერალმა, სამამულო ომის მონაწილემ, იოსებ პავლიაშვილმა წაიკითხა თავისი მოთხრობა „ორი გმირი“. მოთხრობა დაწერილია ფრონტისა და ზურგის ურთიერთობაზე. მოთხრობა მოსმენილ იქნა დიდის ინტერესით. კამათში მონაწილეობა მიიღეს ს. აბულაძემ, იპ. ვართაგავამ, სამამულო ომის მონაწილე ქალმა ნ. რამიშვილმა, ი. იმედაშვილმა, შ. იმედაშვილმა, მასწავლებელმა მ. ბარნაბიშვილმა, სტუდენტმა ბახტაძემ და მწერალმა როდიონ ქორქიამ. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა მოთხრობას ძირითადად დადებითი შეფასება მისცეს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘᲜᲝ-ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ

დოკუმენტური ფილმების ცენტრალურმა სტუდიამ გამოუშვა სურათი ფინეთთან ზავის დადების საკითხზე (ავტორი — რეჟისორი ი. რაიზმანი, რეჟისორი — ნ. შაიკოვსკი).

კინო-ფილმი ასახავს სსრ კავშირსა და ფინეთს შორის 1940 წელს საზავო ხელშეკრულების დადებიდან ფინეთის ომიდან გამოსვლამდე პერიოდს.

ფილმში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გადამწყვეტ ბრძოლებს კარელიის ყელზე. გადაღებას აწარმოებდა კინო-ქრონიკის 26 ოპერატორი.

შტეინის სცენარის მიხედვით ლენინგრადის სტუდიაში რეჟისორებმა ა. ფაინციმერმა და ა. მინკინმა დაამთავრეს სურათის „ბალტიკა, წინ!“ გადაღება. ფილმში ასახულია წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის გმირული ბრძოლები ლენინგრადის ბლოკადის მძვინვარე დღეებში.

**ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠ